# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 7 დეკემბერი 2007 №283 (3206) ფასი 50 თეთრი




გურამ ჩერქეზიშვილის ფოტო

## ფოლქსვაგენმა ახალი მოდელი გამოფინა

### ოლიმპი და ამერი შესაძლოა, დღეს ისევ დაწყვილდნენ

ეს „ფოლკსვაგენის" ახალი სუპერთასია. შარშანდელი სუპერთასი სამუდამოდ დარჩა „ამერის" მფლობელობაში, თასის 2007 წლის ნიმუში კი გუშინ მიიტანეს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში — ძალიან მცირე ხნით, რაკი უკვე ზეგ ამ თასს ახალი პატრონი გამოუჩნდება: ან „ოლიმპთან" დაიდებს ბინას, ანაც „ამერის" ოფისში შეუამხანაგდება შარშანდელს.

და რაკი სუპერთასი ვახსენეთ, საქართველოს თასის ამბავიც ვთქვათ: დღეს „ყაზბეგის" თასის მეოთხედფინალის წილისყრაა და, სხვათა შორის, ისეც შეიძლება მოხდს, რომ „ოლიმპი" და „ამერი" ერთმანეთს იქაც ერთმანეთს გადაეყარნონ.

# დინამო ცხრილის თავში შემოდგომის ჩემპიონად შემოდგა



გურამ ჩერქეზიშვილის ფოტო

## 2006, 27 აგვისტო: 1 წელი, 3 თვე და 10 დღე ზესტაფონს საქართველოს ჩემპიონატში არ წაუგია. 2004, 9 დეკემბერი: თითქმის სამი წელი ზესტაფონს დინამოსთან არ წაეგო

## ეს ერთი მარცხი ზესტაფონს შემოდგომის ჩემპიონობის დაკარგვად დაუჯდა

# მატჩები, რომლებიც...

## რა ხდებოდა ამერი — ვიტ ჯორჯიამდე

რაც საქართველოში ეროვნული ჩემპიონატი იმართება, უამრავი მატჩი გამრერია, სულ რომ არ ჩატარდა, გადათამაშდა, ჩაიშალა ან სხვა რაიმე მიზეზით შედეგი გაუქმდა.
ბოლო ასეთი თამაში გუშინწინდელი „ამერი" — „ვიტ ჯორჯია" გახლდათ, რომელმაც ამ ჩამონათვალის შედგენა გვაფიქრებინა.
და ერთი განმარტებაც: აფხაზეთის ომის თუ უამინდობის გამო ჩაშლილ-შეწყვეტილი მატჩები ამ ჩამონათვალში შეტანილი არ გვაქვს...



### მატჩები, რომლებიც ჩაიშალა

**1991**

**ტორპედო 1:2 ცხუმი**
მატჩი 84-ე წუთზე შეწყდა და გადათამაშდა

**ოდიში 1:2 კოლხეთი**
მატჩი 78-ე წუთზე შეწყდა და ოდიშს წაგება ჩაეთვალა

**1991-92**

**ტორპედო 1:2 დინამო**
მატჩი 89-ე წუთზე შეწყდა და ტორპედოს წაგება ჩაეთვალა

**სულორი 1:0 შევარდენი**
მატჩი 88-ე წუთზე შეწყდა და შევარდენს წაგება ჩაეთვალა

**მარგვეთი 1:0 ცხუმი**
მატჩი პირველი ტაიმის მერე შეწყდა და ცხუმს წაგება ჩაეთვალა

**2002-03**

**მეტალურგი 1:3 ვიტ ჯორჯია**
მატჩი 75-ე წუთზე შეწყდა, მოედანზე მაყურებლის გადასვლის გამო და ვიტ ჯორჯიას ტექნიკური გამარჯვება ჩაეთვალა

**2007-08**

**ამერი 0:1 ვიტ ჯორჯია**
მატჩი 55-ე წუთზე შეწყდა. ამერის პრეზიდენტმა გუნდი მოედნიდან გაიყვანა

### მატჩები, რომლებიც ჩამთავრდა, მაგრამ გადათამაშდა

**1990**

**მზიური 1:1 ტორპედო**
ტორპედომ გააპროტესტა და მატჩი გადათამაშდა

**დილა 1:0 გურია**
გურიამ გააპროტესტა და მატჩი გადათამაშდა

**ტორპედო 2:0 ამირანი**
მატჩი გადათამაშდა

**1991**

**სულორი 1:1 ტორპედო**
მატჩი გადათამაშდა

**1991-92**

**სამტრედია 2:0 კოლხეთი**
კოლხეთმა გააპროტესტა და მატჩი გადათამაშდა

**1993-94**

**მარგვეთი 1:0 შევარდენი**
შევარდენმა გააპროტესტა და მატჩი გადათამაშდა

### მატჩები, რომლებიც გუნდის გამოუცხადებლობის გამო არ ჩატარდა

**1990**

**ამირანი 3:0 ლიახვი**
**ტორპედო 3:0 ამირანი**
**გორდა 3:0 ლიახვი**
**ლიახვი 0:3 დილა**
**ლიახვი 0:3 კოლხეთი**
**ლიახვი 0:3 ოდიში**
**ლიახვი 0:3 სამგურალი**
**ლიახვი 0:3 ტორპედო**
**შევარდენი 3:0 ლიახვი**
**ცხუმი 3:0 ლიახვი**
**მერცხალი 3:0 ლიახვი**

**1991-92**

**ცხუმი 3:0 ალაზანი**
**დილა 3:0 ბათუმი**
**ოდიში 3:0 გურია**
**ოდიში 3:0 მრეტები**
**ოდიში 3:0 სულორი**
**ოდიში 3:0 მერცხალი**

**1992-93**

**კახეთი 3:0 დილა**
**ალაზანი 3:0 ტორპედო**
**ალაზანი 3:0 სამტრედია**
**ალაზანი 3:0 კოლხეთი**
**ბათუმი 3:0 მრეტები**

**1993-94**

**შევარდენი 3:0 გურია**
**კოლხეთი 3:0 დილა**
**ოდიში 3:0 საპოვნელა**
**ოდიში 3:0 კახეთი**
**კახეთი 3:0 ოდიში**
**მარგვეთი 3:0 ივერია**
**ივერია 0:3 შევარდენი**
**მარგვეთი 3:0 კახეთი**
**შევარდენი 3:0 მარგვეთი**
**მარგვეთი 0:3 სამტრედია**
**ალაზანი 3:0 მეტალურგი**
**ოდიში 3:0 სამგურალი**
**საპოვნელა 3:0 შევარდენი**
**შევარდენი 3:0 მაღაროელი**
**მაღაროელი 3:0 ალაზანი**
**ოდიში 3:0 შუქურა**
**მაღაროელი 3:0 შუქურა**
**მაღაროელი 3:0 მრეტები**

**1994-95**

**კოლხეთი 3:0 გურია**
**დილა 3:0 გურია**
**დილა 3:0 სამგურალი**
**მეტალურგი 3:0 ბათუმი**
**ბათუმი 3:0 მეტალურგი**
**ზუგდიდი 3:0 კახეთი**
**ზუგდიდი 3:0 დურუჯი**
**კოლხეთი 3:0 ტორპედო**
**კოლხეთი 3:0 საპოვნელა**

**1995-96**

**ეგრისი 3:0 დილა**
**სამტრედია 3:0 დურუჯი**
**მერანი 91 3:0 გურია**

**1998-99**

**მერანი 91 3:0 გურია**

### მატჩები, რომლებიც ჩამთავრდა, მაგრამ ტექნიკური შედეგი დაფიქსირდა ან მასპინძელმა თამაშის ჩატარება ვერ უზრუნველყო

**1991**

**კოლხეთი 2:2 (0:3 ტექ) დინამო**
კოლხეთს წაგება ჩაეთვალა

**ივერია 3:2 (0:3 ტექ) შევარდენი**
ივერიას წაგება ჩაეთვალა

**1992-93**

**მარგვეთი 0:3 მრეტები**
მარგვეთმა ვერ უზრუნველყო მატჩის ჩატარება

**1993-94**

**ალაზანი 2:1 (0:3 ტექ) მეტალურგი**
ალაზანის ფეხბურთელი გაძევების მერე მოედნიდან არ გავიდა და ბოლომდე ითამაშა

**1994-95**

**ტორპედო 11:4 საპოვნელა**
**კოლხეთი 10:5 სამგურალი**
ორივე გუნდს წაგება ჩაეთვალა არასპორტული პაექრობისთვის (ბომბარდირობაში მოცილე მამუკა ხუნდაძემ და გიორგი დარასელიამ 9-9 გოლი გაიტანეს)

**ივერია 3:0 შევარდენი**
თოვლის გამო შევარდენმა თამაშზე უარი განაცხადა

**სამგურალი 0:3 კოლხეთი**
სამგურალმა სტადიონი ვერ მოამზადა

**2000-01**

**მერანი 91 2:4 კოლხეთი**
ორივე გუნდს არასპორტული პაექრობისთვის წაგება ჩაეთვალა. მერანს სამი ქულაც ჩამოეჭრა

**გორდა 3:2 სიონი**
ორივე გუნდს არასპორტული პაექრობისთვის წაგება ჩაეთვალა. სიონს სამიც ქულა ჩამოეჭრა

**იბერია 0:3 ვიტ ჯორჯია**
იბერიამ სტადიონი ვერ მოამზადა

**2002-03**

**მეტალურგი 0:3 დინამო**
**კოლხეთი 3:0 მილანი**
სამონაწილეო თანხის გადაუხდელობისთვის მეტალურგს და მილანს ტექნიკური მარცხი ჩაეთვალათ

**მერანი 91 — მილანი**
სამონაწილეო თანხის გადაუხდელობისთვის ორივე გუნდს ტექნიკური მარცხი ჩაეთვალა

**გორდა 3:0 მერანი 91**
**ტორპედო 3:0 მეტალურგი**
მერანმა და მეტალურგმა ხელფასების გაუცემლობის გამო არ ითამაშეს

## ვინ რას ამბობს დღეს



**ზურაბ ფოცხვერია**, „ამერის" პრეზიდენტი: „ახალს ვერაფერს ვიტყვი, აზრი არ შემცვლია და მინდა, გითხრათ, რომ მოედნიდან გუნდის გაყვანის გადაწყვეტილება ემოციურ ფონზე არ მიმიღია. იყო საფრთხე, რომ დარჩენილი 35 წუთი ფეხბურთელებს ნერვიულ ფონზე ეთამაშათ, ანუ ამ ინციდენტს მოჰყვებოდა გართულებები, რასაც შეიძლება, გაცილებით მძიმე შედეგი მოეტანა. ჩემთვის მძიმე იყო ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ვიმეორებ, ეს დაკავშირებულია მხოლოდ პენალტის შემდგომ ვითარების დაძაბვასთან. მე არ მაქვს კონკრეტულად პრეტენზია მსაჯობაზე ან თერთმეტმეტრიანის დანიშვნა-არდანიშვნაზე, თუმცა პენალტის შემდეგ აშკარად გამოჩნდა, რომ მსაჯი ვერ აკონტროლებდა ვითარებას და სწორედ ამან გადამაწყვეტინა ამ ნაბიჯის გადადგმა".

**ამირან პაჭახიძე**, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების ხელმძღვანელი: „რომელიმე გუნდის საქციელის შეფასება ჩემს კომპეტენციაში არ შედის. მსაჯთა დამკვირვებელმა მერაბ ჭელიძემ მსაჯობაზე ყველანაირი ინფორმაცია მომაწოდა. მე თვითონაც ვნახე მატჩი და ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ლევან კვარაცხელიამ კარგად იმსაჯა. პენალტიც იყო, ზურაბ ქვაჩახიაც სამართლიანად გააძევა. გიორგი ელბაქიძემ კი, როგორც კვარაცხელია ამბობს, შეაგინა და ამიტომაც დაატოვებინა მოედანი."



**პაატა ბურჯალიანი**, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური მდივანი: „ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა. თამაშის ჩაშლა ჩვენი ჩემპიონატის იმიჯზე ცუდად მოქმედებს. ვიცით, რომ „ამერის" პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიას ფანატიკურად უყვარს ფეხბურთი და ვფიქრობ, იმ დღეს ემოციური გადაწყვეტილება მიიღო. რა თქმა უნდა, ამ ფაქტს შესაბამისი რეაგირება მოჰყვება და „ამერი" დაისჯება".

---

სარბიელელები მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა გორის „დილას", „ცხინვალის" და ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი ფეხბურთელი
**როინ მარლიშვილი**
და სამძიმარს ვუცხადებს განსვენებულის ოჯახს

---

## უეფას თასი 2007-2008
### ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ოთხშაბათი

**E ჯგუფი**

**ლევერკუზენი 1:0 სპარტა**
1:0 ფრიდრიხი (71)

**სპარტაკი 1:0 ციურიხი**
1:0 ტიტოვი (57)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ციურიხი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ლევერკუზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| სპარტა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ტულუზა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

**F ჯგუფი**

**არისი 1:1 ბრაგა**
0:1 ლინცი (6), 1:1 რონალდო (26)

**ცრვენა ზვეზდა 0:1 ბოლტონი**
0:1 მაკკანი (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 6 |
| არისი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| ბაიერნი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| ბრაგა | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| ცრვენა ზვეზდა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

**G ჯგუფი**

**ოლბორგი 1:2 ხეტაფე**
0:1 ერნანდესი (11), 0:2 გრანერო (78), 1:2 პრიცა (90)

**ანდერლეხტი 1:1 ტოტენჰემი**
1:0 გოორი (68), 1:1 ბერბატოვი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| ხეტაფე | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ანდერლეხტი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ჰაპოელი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ოლბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | 1 |

**H ჯგუფი**

**აუსტრია 0:1 პანიონიოსი**
0:1 მაისტოროვიჩი (90)

**ბორდო 2:1 ჰელსინგბორგი**
1:0 შამახი (12), 1:1 ლარსონი (17), 2:1 ჟუსი (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 3 | 3 | 0 | 0 | 6:3 | 9 |
| ჰელსინგბორგი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| პანიონიოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | 4 |
| გალათასარაი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:5 | 3 |
| აუსტრია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

## იტალია
### თასის 1/8 ფინალი
### პირველი მატჩი

**ემპოლი 2:1 იუვენტუსი**

## ინგლისი
### კონფერენსლიგა
### გადადებული მატჩი

**კიდერმინსტერი 1:0 კემბრიჯი**


გელა შეყილაძე და პეტარ სეგრტი

# ისევ ფრე და სეგრტის მადლობაც პორტუგალიამ საქართველოს გოლი გაუუქმა

**პორტუგალია 0:0 საქართველო**

საქართველო: ნადირაძე, ამაშუკელი, მირცხულავა, ფუტკარაძე, მამულაძე, ძალამიძე, ჩელებაძე, ელიზბარაშვილი, ჯიშკარიანი (გაბაშვილი 77), შეყილაძე, ჯიმშელეიშვილი

მსაჯი: ლ. კოსტა სანტუში (პორტუგალია)

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიის ქალაქ ბეჟაში მეორე ამხანაგური შეხვედრა გამართა მასპინძელ 17-წლამდელთა ნაკრებთან და ისევე, როგორც ორიოდ დღის წინ, 0:0 ითამაშა.

სხვათა შორის, ქართველმა ჭაბუკებმა 69-ე წუთზე გოლი გაიტანეს — მეკარესთან პირისპირ გასულმა ირაკლი შეყილაძემ იყოჩაღა, თუმცა თანამსაჯმა საეჭვო თამაშგარე დააფიქსირა.

28-ე წუთზე ნიკა ძალამიძის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ ელიზბარაშვილის თავური პორტუგალიელთა მეკარემ მოიგერია.

მეორე ტაიმში ძალამიძემ დაახლოებით 20 მეტრიდან დაარტყა და ბურთი ძელს მოხვდა.

მალევე გიორგი ჩელებაძემ მეკარესთან პირისპირ გაიყვანა შეყილაძე, რომელმაც ოდნავ ააცილა.

წინა შეხვედრის დარად, თამაშს ამჯერადაც დაესწრო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი პეტარ სეგრტი: „ორივე თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით ქების ღირსი მეკარე და მცველები არიან — ორივე მატჩში ჩინებულად ითამაშეს. ამ ნაკრებში ძლიერი ფეხბურთელები ირიცხებიან და მჯერა, ეს ბიჭები უფრო კარგად ათამაშდებიან. მინდა, ამ ორ მატჩში თავდადებული თამაშისთვის მათ მადლობა გადავუხადო“.

**კახა ზალამბერიძე**

# ახალგაზრდული ცვლილება

**12 დეკემბერს** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ლუქსემბურგში ამხანაგურ მატჩს გამართავს მასპინძელ თანატოლებთან.

საამმატჩო სია პეტარ სეგრტმა უკვე გამოაცხადა და ეს გეცოდინებათ, ახლა კი ერთ ცვლილებაზეც ვთქვათ: ახალციხის „მესხეთის“ ნახევარმცველ თემურ აფრიამაშვილის ნაცვლად ლუქსემბურგში ირაკლი შეყილაძე გაემგზავრება.

შეყილაძე 17-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია და ახლახან ნაკრებს პორტუგალიურ ტურნეში ახლდა.

**კახა ზალამბერიძე**

# მინგე ჩამოვიდა და ტოპმიოლერი მოდის



**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელი რალფ მინგე მეუღლითურთ უკვე თბილისშია და გუშინ „ეროვნულზე“ „დინამო“ — „ზესტაფონის“ მატჩსაც დაესწრო.

როგორც შევიტყვეთ, დღე-დღეზე საქართველოში კლაუს ტოპმიოლერიც ჩამოვა და კონტრაქტის გაგრძელებაც ოფიციალურად მაშინ გაფორმდება.

გერმანელი მწვრთნელები და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ირწმუნებიან, თითქმის ყველაფერი შეთანხმებული გვაქვს, კონტრაქტის გაგრძელება ფორმალობააო და ჩვენც დაველოდოთ ამ ფორმალობის გაოფიციალურებას.

**კახა ზალამბერიძე**

# არიფის აზრი
## როგორი გამოდგა გერმანული პირამიდა

**აზერბაიჯანის** ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, ყველა ასაკობრივი ნაკრები უცხოელებს ჩააბაროს. ამ აზრს არ ეწინააღმდეგება 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი არიფ ასადოვი, თუმც ჩვენთვის საინტერესო მოსაზრებაც გამოთქვა: „რადგან ფედერაციამ ასე ჩათვალა საჭიროდ, უნდა გააკეთოს. თუმცა ბოლო შესარჩევ ციკლებში ჩვენს 17 და 19-წლამდელთა გუნდებს ურიგოდ არ უთამაშიათ. შედეგებიც სახეზეა. რაც შეეხება „პირამიდის“ ამ სისტემას, მეზობელ საქართველოში უკვე გამოიყენეს, მაგრამ კარგ შედეგს ვერ მიაღწიეს. რა მოხდება ჩვენთან? დრო გვიჩვენებს“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

უსიამოვნო ამბავი შეემთხვა ლევან მჭედლიძეს: ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი იმედი იტალიაში გაქურდეს. „ემპოლის“ ქართველ ფორვარდს გარეწარი ქურდ-ბაცაცები მძინარეს შეუვარდნენ სახლში და, რაც შეძლეს, ყველაფერი წაიღეს. საბედნიეროდ, ლევანს არაფერი დაშავებია, არადა, გაქურდვისას შინ იყო... დეტალების გასაგებად, გუშინ ლევანის მამას, კარლო მჭედლიძეს შევეხმიანეთ....



# ლევან მჭედლიძის გაქურდვაში ალბანელების ხელი ურევიაო...

— ძალიან ნანერვიულები ვარ, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი ისე დამთავრდა, ლევანს არაფერი დაშავებია. როგორც ვიცი, გამოძიება დაიწყო, თუმცა ამას რას დავეძებ, მთავარია, შვილი კარგად მყავს...

— თუ შეგიძლიათ, გვითხრათ, რა როგორ მოხდა?

— როგორც ლევანმა მითხრა, ალბანელებზე ეჭვობენ. გვიან სახლში რომ მივდიოდი, ქუჩაში საეჭვო პირები კი შევამჩნიე, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევიაო. მერე კი, როგორც გაირკვა, ისინი ლევანის დაძინებას დაელოდნენ, აივნის კარი გახვრიტეს და დასაძინებელი გაზი შეუშვეს სახლში. ლევანს არაფერი გაუგია, ისე გაასუფთავეს იქაურობა. დილით რომ გაიღვიძა, თავბრუსხვევა ჰქონია, გაიხედ-გამოიხედა და ყველაფერს მაშინ მიხვდა — სახლი არეულ-დარეული იყო.

— ბევრი რამე წაიღეს?

— რაც შეძლეს, ყველაფერი, თუმცა უკვე რაღა აზრი აქვს ამაზე ლაპარაკს... სამწუხაროა, ასეთი რამ რომ მოხდა, ბევრი მანერვიულეს... თქვენ კი ყურადღებისთვის დიდ მადლობას გიხდით.

**კახა ზალამბერიძე**

ჩაერთეთ 3 ლარად!

საავანსო ბალანსი 3 ლარი



ტარიფი «მეგობრები»

სატარიფო გეგმა ძალაშია 31.01.2008 - მდე

დაგვიკავშირდით
ქალაქის ქსელიდან: 20 0611
მობილურიდან: 0611

www.beeline.ge

ბილაინი

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა · I წრე. გადადებული ტური

თბილისი. 6 დეკემბერი. 14 საათი. ეროვნული. 2 000 მაყურებელი

### დინამო 2:0 ზესტაფონი

1:0 დილმელაშვილი (18), 2:0 ხუციშვილი (63)

**დინამო:** ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ოდიკაძე (თომაშვილი 89), ხმალაძე, დილმელაშვილი, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი (ს. კობახიძე 80), აკირემი (სპასოევიჩი 54)
სათადარიგონი: ლორია; გ. კაშია, ვაწაძე, ნ. ფირცხალავა
**მწვრთნელი:** დუშან უჰრინი

**ზესტაფონი:** ჭანტურია, ს. თოდუა, საჯაია, უ. ლობჟანიძე, კ. ჩხეტიანი (ვიეირა 75), რ. ონიანი, კესანი, ჟონატასი (იონანიძე 70), გ. ნოდ. ჭელიძე, ბ. გოცირიძე (ფიფია 75), გ. ნუგ. ჭელიძე
სათადარიგონი: რ. კვასხვაძე; ნ. კვასხვაძე, შ. ლონლაძე, ბიტოო
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** კრშკო (36), კესანი (43), ხუციშვილი (63), იონანიძე (76), დილმელაშვილი (86), ოვონო (90)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია, ზ. ჯვარიძე, ზ. ხუციშვილი, ვ. გუმბერიძე

**დამკვირვებელი:** ა. შალამბერიძე



# პირველი დინამომ მოიგო...
# ზესტაფონი მეორემდე მეორეა

**კობა ინასარიძე**

**შემოდგომის** ჩემპიონი ცნობილია — თბილისის „დინამომ" გუშინ უშუალო კონკურენტი „ზესტაფონი" შთამბეჭდავად დაამარცხა და პირველი წრე დამსახურებულ პირველ ადგილზე ჩაამთავრა.

ახლა უკვე დასვენების დროა და დანარჩენი გაისად ვნახოთ...

„დინამო" ერთპიროვნული ლიდერია, მაგრამ მდევართა სუნთქვა გაზაფხულიდანაც არ მოასვენებს. დღესდღეობით კი ისე ჩანს, რომ პირველობის უპირველესი მეტოქე თბილისელთათვის სწორედ „ზესტაფონი" იქნება.

ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე, პრინციპულობასა და ასე შემდეგ, აღარ შევჩერდებით, მატჩამდელ ცხრილშიც კარგად ჩანდა, რა ინტრიგა ახლდა „დინამო" — „ზესტაფონს": პინაზე სანახევრო ჩემპიონობა იდო.

მეტოქეები, ვერ ვიტყვით, რომ განსაკუთრებულად ემზადებოდნენ ერთმანეთს შესახვედრად, მაგრამ ის კი არის, რომ ამ მატჩამდე ორივე გუნდი ლამის დღეებს ითვლიდა და დიდი ბრძოლის მოლოდინში იყო. მწვრთნელებმაც უძლიერესი შემადგენლობები გაამზადეს და საქმეც დაიწყეს.

ტაქტიკური ნახაზი არც დუშან უჰრინს შეეცვალა და არც თემურ მახარაძეს, სიურპრიზები და რაიმე ამგვარი არც ერთ მხარეს ყოფილა. ორივე გუნდმა თითო გამოკვეთილი ფორვარდით დაიწყო, აქეთ ქორჯ აკირემი იყო, იქით გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე. „დინამოს" ფორვარდს, როგორც აქამდე, მიხეილ ხუციშვილი, გიორგი მერებაშვილი და დავით ოდიკაძე ეხმარებოდნენ, ზესტაფონელს კი ოდნავ უკნიდან ბექა გოცირიძე ჰყავდა, ხოლო მარჯვენა ფლანგიდან მოგვარე ჭელიძე ცდილობდა შეტევის გამწვავებას. აქვე ვთქვათ, რომ ნუგზარის-ძე ჭელიძეს ეს საქმე არ გამოუვიდა, რადგან მცველი რომან დობეში უფრო ყოჩაღობდა და მას გასაქანი არ მისცა. გასაქანი არც ნოდარის ძე ჭელიძეს („პაჭელო") ჰქონია, თუმცა ერთხელ მაინც მოახერხა სახიფათო მომენტის შექმნა. მან სწორედ მარჯვნიდან ჩააწოდა დაბალზე და „დინამოს" კარის წინ და ნედ ზელიჩს რომ არ ემარჯვა, ეგებ გოცირიძეს გაეტანა კიდეც.

ეს ამბავი პირველ ტაიმში იყო და სხვა ხეირიანი სტუმრებს დიდიე ოვონოს კართან არაფერი გაუკეთებიათ. სამაგიეროდ კი, გრიგოლ ჭანტურიას კართან იმდენჯერ „ჩამოცხა", შეიძლებოდა, „დინამოს" საქმე პირველივე ტაიმში მოემთავრებინა.

„დინამოს" დაწინაურება მე-15 წუთისთვის შეეძლო, მაგრამ სტუმრები მეკარემ გადაარჩინა, რომელიც დაახლოებით 20 მეტრიდან დავით ოდიკაძის ტყვიასავით გასროლილს მუშტებით შეეგება.

მოგვიანებით, უკეთესს რომ ვერ ინატრებ, ისეთი საგოლე შანსი მიეცა დინამოელთა გაბონელ აკირემის. გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ შემტევმა იჩქარა და მის დარტყმულს მცველი და მეკარე ერთად გადაეღობნენ. ამ ორ შანსს შორის კი დავით დილმელაშვილის ლამაზი გოლი იყო. დობეშმა აუტიდან ბურთი სწრაფად მიაწოდა უმეთვალყურეოდ დარჩენილ კაპიტანს და მანაც საჯარიმოს კუთხემდე სადღაც ხუთი-ექვსი მეტრიდან კარის შორეულ კუთხეში ჩასვა ბურთი. ჭანტურიას დარტყმულზე რეაგირებაც არ მოუხდენია, ბურთი უცნაური ტრაექტორიით გაფრინდა — 1:0.

მეორე ტაიმი გუნდებმა უცვლელი შემადგენლობებით დაიწყეს, თუმცა დუშან უჰრინმა შეცვლა მალევე გააკეთა — პასიურ აკირემის ილია სპასოევიჩი ამჯობინა. სპასოევიჩზე, შესვლისთანავე ცეცხლი დაანთოო, არ ითქმის, თუმცა აკირემიზე უკეთ გამოიყურებოდა და რამდენჯერმე ზესტაფონელი მცველებისგან კოჭებშიც მაგრად მოხვდა. ის ყველა ბურთისთვის იბრძოდა, მცველებს მოსვენებას არ აძლევდა...

ამასობაში კი, 63-ე წუთიც დადგა და მასპინძლებმაც კიდევ გაიხარეს: ხუციშვილი მარცხენა ფლანგზე ჯერ ერთბაშად ორ მცველს დაუსხლტა, მერე კარს მიუახლოვდა და... მას გასწვრივ სპასოევიჩი მიჰყვებოდა, პასი და გოლი ერთი იქნებოდა, მაგრამ ხუციშვილმა თავადვე დაარტყა, მოჭრა და ბურთი ჭანტურიასთვის მიუწვდომელ კუთხეში აღმოჩნდა.

ორბურთიანი უპირატესობა, მით უმეტეს, ასეთ მატჩში, ცხადია, ბევრს ნიშნავს... „ზესტაფონის" მწვრთნელმა უმალ ერთი შეცვლა გააკეთა — არაქათგამოცლილი გოცირიძე გოგი ფიფიამ შეცვალა. „ზესტაფონის" შეტევებიც, ერთი შეხედვით, უფრო გამწვავდა, მაგრამ როგორც გამოჩნდა, ეს უშედეგო იყო. „დინამოს" გამოცდილი მცველები ხშირად ხელოვნური თამაშგარეს ხერხს იყენებდნენ და ზესტაფონელი შემტევებიც უსაქმოდ რჩებოდნენ. მერე მახარაძემ გუნდის წინა ხაზს, ასე ვთქვათ, „დინამოს" „წამალი", ზურაბ იონანიძეც შეაშველა, მაგრამ რამდენიმე თამაშგარე არც მას ასცდა. ხოლო როცა წესი არ დარღვეულა და იონანიძემ დარტყმა შეძლო, მისი თავური „დინამოს" კარის ძელს მოხვდა.

საპირისპიროდ, მასპინძლებს ერთხელაც მართებდათ გატანა. არ გამოუვიდათ. გიორგი მერებაშვილმა ძალიან ახლოდან დაარტყა, მაგრამ ზუსტად იქ, სადაც ჭანტურია იდგა. ნელ-ნელა კი დუშან უჰრინმა სხვა შეცვლებიც გააკეთა, „ზესტაფონს" ოვონოს კართან მიახლოების ყველა გზა მოუჭრა და ასე მიიყვანა გუნდი პირველი წრის ლიდერობამდე.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 13 | 12 | 0 | 1 | 35:4 | 36 |
| ზესტაფონი | 13 | 11 | 1 | 1 | 26:6 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 9 | 1 | 2 | 22:8 | 28 |
| ბორჯომი | 13 | 7 | 4 | 2 | 17:9 | 25 |
| ოლიმპი | 13 | 7 | 3 | 3 | 13:8 | 24 |
| ამერი | 12 | 7 | 0 | 5 | 21:13 | 21 |
| მესხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 15:17 | 20 |
| მგლები | 13 | 5 | 0 | 8 | 14:19 | 15 |
| სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:17 | 15 |
| სპარტაკი | 13 | 3 | 3 | 7 | 5:14 | 12 |
| მერანი | 13 | 3 | 1 | 9 | 7:23 | 10 |
| ლოკომოტივი | 13 | 3 | 0 | 10 | 8:21 | 9 |
| დილა | 13 | 1 | 3 | 9 | 7:24 | 6 |
| ბათუმი | 13 | 1 | 1 | 11 | 5:28 | 4 |



დავით ოდიკაძე და რონ ონიანი



პოლ კესანის „ზესტაფონი" პირველად დავით დილმელაშვილმა დაამწუხრა

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. გადადებული ტური

# პოზიციის და ტვინის შერყევა

ბოლნისი. 6 დეკემბერი. 14 საათი. თამაზ სტეფანია. 300 მაყურებელი

## სიონი 3:1 მგლები

1:0 ჩასემი (6), 2:0 ქარდავა (56), 3:0 ხუხია (59პ.), 3:1 ბაკარანძე (74)

სიონი: გ. იაშვილი, სვანიძე, ოქროპირიძე, ფრიდოლინი (მენთესაშვილი 46), ქურასბედიანი, ქუცურუა (კვიტაიშვილი 56), სანიკიძე, ნ. ნადირაძე, ქარდავა, ლ. ბაჯელიძე, ჩასემი (გაგუა 60)
სათადარიგონი: ბობლიაშვილი; ქუთათელაძე, ევორე, რაქვიაშვილი
მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე

მგლები: ჭითანავა, ქომეთიანი, ხუხია, მაჭავარიანი (ჭკადუა 11), კაკაბაძე, ქირია (ბაკარანძე 63), ჯოჯუა, გაბედავა, წურწუმია, ჭედია, კუტალია
სათადარიგონი: ივარდავა, ხუბუა
მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

გაფრთხილება: ნადირაძე (16)

მსაჯები: ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი, ლ. მიქელაძე, ხ. გაგნიძე

მიხეილ ჟორჟოლიანი ბოლნისიდან

**რამდენიმე** ტურია, ზუგდიდელები წამყვან ფეხბურთელებს ტრავმების გამო ვერ იხმარენ, თუმც გუშინდელ მატჩში ძირითადში მოულოდნელად სრულიად უცხო და ახალგაზრდა ფეხბურთელები დააყენეს.

„მგლებმა“ შესაძლო წინააღმდეგობა კი გაუწია მასპინძლებს, თუმცა „სიონის“ გამარჯვება ეჭვს არ ტოვებდა.

ზედიზედ მეორე ტურია, „მგლებმა“ მე-6 წუთი ცუდად დაცადა: წინაში მათ ბორჯომელმა შოთა ჯიქიამ გაუტანა, გუშინ კი „სიონის“ კამერუნელმა ლეგიონერმა ერიკ რომეო ჩასემმა. კამერუნელმა თავით იმ კუთხურის შემდეგ გაიტანა, რომელიც ბესიკ ქარდავას დარტყმის მერე ნიკოლოზ ჭითანავამ მოიგერია.

ერთიც, ამ გოლისას ჩასემმა ბურთთან ერთად თავი ზუგდიდელ ნოდარ მაჭავარიანსაც დაჰკრა, რომელიც სტადიონიდან სასწრაფო დახმარების მანქანით წაიყვანეს.

ნამატჩევს შევიტყვეთ, რომ „მგლების“ ცენტრალურ მცველს მსუბუქი ფორმის ტვინის შერყევა მიუღია.

ორივე გუნდი სწრაფ ტემპში თამაშობდა და მაყურებელს მოსაწყენად ნამდვილად არ ეცალა. თუმც საგოლე მომენტები თითზე ჩამოსათვლელი იყო და პირველი გოლამდე საათზე ცოტა ნაკლები იცადა გულშემატკივარმა, მერე კი ერთბაშად სამი იხილა.

სანამ გოლებზე გეტყოდეთ, მანამდე ზუგდიდელ მამუკა ჭკადუას ორჯერ მართებდა გატანა: ჯერ გოგა იაშვილს პირდაპირ ხელებში დაურტყა, შემდეგ კი ბოლნისელმა იყოჩაღა და ბურთი კუთხურზე გადააგდო. თავის მხრივ, ლევან ბაჯელიძეს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინა, ანგარიშში სხვაობას გააორმაგებდა, მაგრამ ხელსაყრელი სიტუაციიდან ბურთი ვერ მოჭრა.

56-ე წუთზე მურმან ქურასბედიანმა მარჯვენა ფლანგზე იაქტიურა, საჯარიმოში შევიდა და განივად ჩააწოდა, იქ კი ქარდავამ ჭითანავას წამით დაასწრო და მეორე გაიტანა.

გავიდა კიდევ სამი წუთი და ტაბლოზე „სიონის“ გასწვრივ სამიანი დაიწერა. ნიკა ნადირაძემ და ჩასემმა საჯარიმოში იაქტიურეს, თუმცა ბოლნისელს გოლის გატანა ნიკა ხუხიამ არ აცალა და თავად შეაგდო საკუთარ კარში — მცველმა და მეკარემ შეუთანხმებლად ითამაშეს, ჭითანავას დარტყმული ბურთი ხუხიას მოხვდა და ზუგდიდელმა ავტოგოლი მიითვალა.

„მგლები“ ამის შემდეგ გააქტიურდა, რამდენიმე კარგი მომენტიც შექმნა, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლის გატანაღა მოახერხა: ჭკადუას 20 მეტრიდან დარტყმული იაშვილმა ახლოს მოიგერია, დამატებაზე კი პაატა ბაკარანძემ ივარგა.

„სიონმა“ 3:1 მოიგო და პირველი წრის შემდეგ „მგლებს“ ქულებით გაუთანაბრდა.

# ახალი თასი ფოლკსვაგენისგან




**9 დეკემბერს** გორში „ფოლკსვაგენის“ სუპერთასი გაიმართება, სადაც საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ და თასის მფლობელი თბილისის „ამერი“ გაარკვევენ გამარჯვებულის ვინაობას.

კომპანია „ფოლკსვაგენმა“ გუშინ პროფლიგაში ახალი თასი მიიტანა.

**ნინი ქინქლაძე**, კომპანია „ფოლკსვაგენის“ მარკეტინგის მენეჯერი: „ახალი თასი საქართველოში დამზადდა, რაღაც დეტალები გერმანიიდან ჩამოვიტანეთ. „ფოლკსვაგენის“ ლოგოთი დამშვენებული თასის გარდა გამარჯვებული გუნდი 10 000 ლარს მიიღებს“.

**პაატა ბურჯალიანი**, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური მდივანი: „გორის რაიონის მუნიციპალიტეტმა და პროფლიგამ ერთობლივად გადავწყვიტეთ, რომ მატჩზე დასწრება უფასო იყოს. შეხვედრას გორის ბატალიონიც დაესწრება. თბილისიდანაც ძალიან ბევრ სტუმარს ველით. ქალაქში უკვე გაკრულია აფიშები და ალბათ ანშლაგი იქნება“.

აქვე გეტყვით, რომ დღეს 16.30 საათზე პროფლიგა „ოლიმპის“ და „ამერის“ მწვრთნელების პრესკონფერენციას მოაწყობს, რომლის დასრულებისთანავე თასის მეოთხედფინალის წილისყრა ჩატარდება.

**ნუკრი ლოლაძე**

თბილისი. 6 დეკემბერი. 14 საათი. მერანი. 150 მაყურებელი

## მერანი 1:0 დილა

1:0 გოჩაშვილი (21)

მერანი: თევდორაძე, ლოლაძე, დ. გიგაური, გრიგალაშვილი, სარალიძე, ჯანგიძე, ლომაშვილი (ა. კალაძე 88), ბ. ცლენტი (ტყეშელაშვილი 72), ქურთუხია, შენგელია (ბურჯანაძე 80), გოჩაშვილი
სათადარიგონი: სეფიაშვილი, ქემაშვილი, იაკობ დეისაძე, იაგო დეისაძე
მწვრთნელი: დავით ეჯიბიშვილი

დილა: თ. ილურიძე, ბალაშვილი, ლაცაბიძე, დ. ხანიშვილი, ბალიაშვილი, ტლაშაძე (ნ. ნოზაძე 35), შატაკიშვილი, სადალაშვილი (ლომიძე 70), სულთანიშვილი, ჩუკვუ (სამადაშვილი 53), ბ. ჩიტაია
სათადარიგონი: კეჩხუაშვილი, მახურაშვილი, კურტანიძე, იჩქითი
მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი

გაფრთხილება: დ. ხანიშვილი (33), ლომაშვილი (47), სარალიძე (50), სამადაშვილი (67), შატაკიშვილი (69)

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, ე. ნარმანია, გ. ყრუაშვილი, ი. ურუშაძე

# გოჩაშვილმა მერანი აწია



ნუკრი ლოლაძე გორიდან

**„მერანი“** ამ მატჩამდე ერთი ქულით უსწრებდა „დილას“ და, ცხადია, ეს შეხვედრა ორივესთვის პრინციპული იყო — მათ ხომ უმაღლესი ლიგიდან გავარდნა ემუქრებათ.

არც ერთ გუნდს ცდა არ დაუკლია, რაც შეეძლოთ, იბრძოლეს, თუმცა ახლავე შეიძლება, ითქვას, რომ მათ უმაღლესში ადგილის შესანარჩუნებლად ბევრი ოფლისღვრა დასჭირდებათ, განსაკუთრებით კი გორელებს.

„დილას“ ფეხბურთელები მოედანზე შავი სამკლავურებით გამოვიდნენ. რამდენიმე დღის წინ ამ გუნდის ყოფილი ნახევარმცველი როინ მარლიშვილი გარდაიცვალა და მატჩის დაწყებამდე წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი მის ხსოვნას.

აუტსაიდერთა ჯახში პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს. ქრისტეფორე შატაკიშვილმა საჯარიმოში ჩააწოდა და ზაზა ლაცაბიძეს მეტი სიფხიზლე რომ გამოეჩინა, ანგარიშიც გაიხსნებოდა.

„მერანი“ უფრო ორგანიზებულად გამოიყურებოდა და 21-ე წუთზე შეხვედრის ერთადერთი გოლიც გაიტანა. თემურ ფურთუხიამ მოედნის შუიდან მარცხნივ კარგად მოძებნა ირაკლი შენგელია, მან კი საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა გაუკეთა ვლადიმერ გოჩაშვილს, რომელმაც ერთი შეხებით გაიტანა — 1:0.

სტუმრები კი ცდილობდნენ, მაგრამ ერთადერთი, რაც პირველ ტაიმში მოახერხეს ის იყო, რომ საბა სულთანიშვილმა ჯარიმა დაარტყა, თუმც რევაზ თევდორაძემ ნახტომში მოიგერია ბურთი.

სხვათა შორის, თევდორაძეს კვლავ ეროვნული ნაკრების მაისურა ეცვა და რატომ არ აქცევს ამას ყურადღებას შესაბამისი პირები, ჩვენთვის გაუგებარია.

ტაიმის მიწურულს გოჩაშვილმა სწრაფად გაათამაშა ჯარიმა და ბექა ჟღენტი მეკარეს შეატოვა, თუმც მერანელმა ვერ ივარგა.

„დილამ“ მეორე ტაიმი უკეთ დაიწყო და შატაკიშვილის კუთხურის შემდეგ ლაშა ბალიაშვილი ურტყამდა თავით, მაგრამ...

55-ე წუთზე გამოცვლილმა გიორგი ბალაშვილმა უხეში შეცდომა დაუშვა — ფურთუხია მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმცა კარს ვერ დაუმიზნა.

ზურაბ ხორგუაშვილის გუნდი თითქოს შეტევას ცდილობდა, მაგრამ ძალიან უფხოდ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, გოლის გატანა წარმოუდგენელი იყო...




# მეთოფის თაღლითობა

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**ნიუკასლი 1:1 არსენალი**

0:1 ადებაიორი (4), 1:1 ტეილორი (60)
**ნიუკასლი:** გივენი, ბეიე, ტეილორი, როზენალი, ნზოგბია, მილნერი, ბარტონი, ბათი, ჯერემი (ვიდუკა 77), მარტინსი, სმიტი
**მწვრთნელი:** სემ ალარდაისი
**არსენალი:** ალმუნია, სანია, ტურე, გალასი, კლიში, ებუე, ლ. დიარა, ჟილბერტო სილვა, როსიცკი, ადებაიორი, ედუარდო (ბენდტნერი 68)
**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი
**გაფრთხილება:** ბარტონი, გივენი, ბეიე, დიარა, სანია
**მსაჯი:** დინი
**50 305 მაყურებელი**

**„ნიუკასლს"** ამ მატჩამდე ხუთიდან ოთხი ჰქონდა წაგებული და, მათ შორის, ორი სახლში. სემ ალარდაისს ფეხბურთელები აუჯანყდნენ და უკვე მწვრთნელის მოხსნაზეც ლაპარაკობდნენ, მაგრამ „არსენალთან" ფრემ გუნდს სულზე მიუსწრო. „მეთოფეები" ადებაიორმა დააწინაურა — ებუეს ჩაწოდებული ბურთი მკერდიდან დაუშვა და კარში შეჭედა. ეს იყო ტოგოელის მეცხრე გოლი პრემიერლიგაში. სტივენ ტეილორმა ლიდერს სამი ქულა არ გაატანა — „ნიუკასლის" მცველმა გაათანაბრა და ბოლო ექვს ტურში „კაჭკაჭებმა" მეორე ქულა მიითვალეს.

პირველი ტაიმის შუაში ადებაიორს შეეძლო გატანა, მაგრამ გივენმა ახლო კუთხეში დარტყმული აუღო. სტუმართა მეკარეც არ ყოფილა უსაქმოდ, ალმუნიამ შესვენებამდე გუნდი ორჯერ იხსნა. მატჩის ბოლოს კარგი მომენტი როსიცკიმ ვერ გამოიყენა, ხოლო „არსენალის" ტოგოელი ფორვარდი ბეიესთან შეჯახებისას საჯარიმოში წაიქცა და პენალტის ითხოვდა. სწორედ ამან გააბრაზა განერვიულებული სემ ალარდაისი, რომელმაც ნამატჩევს თქვა: „მეტოქეთა ფეხბურთელები თაღლითობით ცდილობდნენ გამარჯვების მოპოვებას და მადლობა მსაჯს, რომ პროვოკაციას არ წამოეგო".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 15 | 11 | 4 | 0 | 32:12 | 37 |
| მანჩესტერი | 15 | 10 | 3 | 2 | 25:7 | 33 |
| ჩელსი | 15 | 9 | 4 | 2 | 22:9 | 31 |
| ლივერპული | 14 | 8 | 6 | 0 | 26:6 | 30 |
| სიტი | 15 | 9 | 3 | 3 | 19:15 | 30 |
| პორტსმუთი | 15 | 7 | 6 | 2 | 25:13 | 27 |
| ასტონ ვილა | 15 | 8 | 3 | 4 | 26:16 | 27 |
| ბლეკბერნი | 15 | 7 | 5 | 3 | 20:18 | 26 |
| ევერტონი | 15 | 7 | 3 | 5 | 26:16 | 24 |
| ვესტ ჰემი | 14 | 5 | 4 | 5 | 19:12 | 19 |
| ნიუკასლი | 15 | 5 | 4 | 6 | 21:25 | 19 |
| ბირმინგემი | 15 | 4 | 2 | 9 | 16:24 | 14 |
| რედინგი | 15 | 4 | 2 | 9 | 18:32 | 14 |
| ფულემი | 15 | 2 | 7 | 6 | 18:24 | 13 |
| სანდერლენდი | 15 | 3 | 4 | 8 | 15:29 | 13 |
| ტოტენჰემი | 15 | 2 | 6 | 7 | 26:28 | 12 |
| ბოლტონი | 15 | 2 | 5 | 8 | 12:22 | 11 |
| მიდლსბრო | 15 | 2 | 5 | 8 | 13:27 | 11 |
| უიგანი | 15 | 2 | 3 | 10 | 11:26 | 9 |
| დერბი | 15 | 1 | 3 | 11 | 5:34 | 6 |

# პალოპმა პაჩი მოიგერია

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი
### გადადებული მატჩი

**ოსასუნა 1:1 სევილია**

1:0 პლასილი (18), 1:1 ხესუს ნავასი (46)
**ოსასუნა:** რიკარდო, მონრეალი, შ. ფლანო, კრუზაგა, მარგარიაცი (ველა 64), პლასილი (პანდიანი 80), ექტორ ფონტი (ხავი გარსია 89), პუნიალი, ხუანფრანი, ასპილისუეტა, დადი
**მწვრთნელი:** ხოსე ანხელ სიგანდა
**სევილია:** პალოპი, მოსკერა, კრესპო, ფაციო, ადრიანუ (ხესუს ნავასი 31), პოულსენი (მარესკა 67), მარტი, კეიტა, დე მული (დუდა 46), ლუიშ ფაბიანო, კონე
**მწვრთნელი:** მანოლო ხიმენესი
**გაფრთხილება:** ლუიშ ფაბიანო, ასპილისუეტა, პუნიალი, პალოპი, ველა
**მსაჯი:** კლოს გომესი
**30 000 მაყურებელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 14 | 10 | 2 | 2 | 33:14 | 32 |
| ბარსელონა | 14 | 8 | 4 | 2 | 27:11 | 28 |
| ვილიარეალი | 14 | 9 | 1 | 4 | 26:21 | 28 |
| ატლეტიკო | 14 | 8 | 3 | 3 | 29:17 | 27 |
| ესპანიოლი | 14 | 7 | 5 | 2 | 20:15 | 26 |
| ვალენსია | 14 | 8 | 0 | 6 | 20:23 | 24 |
| რასინგი | 14 | 6 | 5 | 3 | 12:12 | 23 |
| მალიორკა | 14 | 5 | 5 | 4 | 24:21 | 20 |
| სარაგოსა | 14 | 5 | 3 | 6 | 21:22 | 18 |
| ხეტაფე | 14 | 5 | 3 | 6 | 16:17 | 18 |
| ბილბაო | 14 | 4 | 5 | 5 | 15:16 | 17 |
| სევილია | 14 | 5 | 1 | 8 | 25:21 | 16 |
| ოსასუნა | 14 | 4 | 4 | 6 | 17:18 | 16 |
| ალმერია | 14 | 4 | 4 | 6 | 12:15 | 16 |
| ვალიადოლიდი | 14 | 4 | 4 | 6 | 21:26 | 16 |
| მურსია | 14 | 3 | 6 | 5 | 10:15 | 15 |
| უელვა | 14 | 4 | 3 | 7 | 10:19 | 15 |
| დეპორტივო | 14 | 3 | 4 | 7 | 13:21 | 13 |
| ბეტისი | 14 | 2 | 5 | 7 | 13:22 | 11 |
| ლევანტე | 14 | 2 | 1 | 11 | 11:29 | 7 |



სევილიელი ლუიშ ფაბიანო მსაჯს პენალტის დანიშვნას სთხოვს

**„სევილიამ"** სეზონში პირველი ფრე ითამაშა. ეს იყო ასევე პირველი ქულა ბოლო ოთხ მატჩში. „ოსასუნასთან" შეხვედრა სექტემბერში უნდა გამართულიყო, მაგრამ სევილიელი ფეხბურთელის ანტონიო პუერტას სიკვდილის გამო არ შედგა და დეკემბრისთვის გადმოიტანეს.

მასპინძელთა ჩეხმა იაროსლავ პლაშილმა ორ მცველს დაასწრო და ახლოდან გაუტანა პალოპს, მაგრამ ამის მერე სტუმრათა მეკარემ იყოჩაღა — პაჩი პუნიალს პენალტი აუღო. მეორე ტაიმი „სევილიამ" უკეთ დაიწყო და გაათანაბრა — დუდას პასით ნავასმა იხეირა. დარჩენილ დროში ორივე გუნდს ჰქონდა საგოლე მომენტი, მაგრამ ბურთი ორჯერ კარის ჩარჩოს დაეჯახა. აქვე ვთქვათ, რომ „სევილიამ" პრიმერადივიზიონში ბოლოს 3 ნოემბერს მოიგო — შინ მადრიდის „რეალი" 2:0 დაამარცხა.

**ლადო ხოშერიძე**

## კოპა სუდამერიკანა 2007

### ფინალი. საპასუხო მატჩი

**არსენალი (არგენტინა) 1:2 ამერიკა (მექსიკა) (3:2)**

# ანდრიცის ისტორია

**მოკრძალებულმა** არგენტინულმა კლუბმა „არსენალმა" 50-წლიან ისტორიაში პირველი ჯილდო მოიგო. „მეთოფეებმა" სუდამერიკანას თასის ორმატჩიან ფინალში მექსიკური „ამერიკა" დაამარცხეს. მეხიკოში გამართულ პირველ შეხვედრაში არგენტინელებმა 3:2 იმარჯვეს, ოთხშაბათს კი საპასუხო შინ 1:2 წააგეს, მაგრამ სტუმრად გატანილების წყალობით, თასი დაისაკუთრეს. „ამერიკა" 83-ე წუთისთვის 2:0-ს იგებდა, მაგრამ შეცვლაზე შესულმა მარტინ ანდრიცმა გაიტანა და „არსენალის" ისტორია შექმნა. ამერიკელები ისე გაბრაზდნენ, რომ უხეშობა დაიწყეს, რის გამოც მატჩის ბოლოს, ზედიზედ ორი ფეხბურთელი გაუძევეს.






**თუ ვინმე** შესთავაზებს, დევიდ ბექჰემი მზად არის, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან ითანამშრომლოს და გახდეს ოფიციალური სახე მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისათვის ბრძოლაში. უნდა ითქვას, რომ ქვეყნის ნაკრების ყოფილ კაპიტანს ასეთ საქმეებში გამოცდილება აქვს. განა, ლონდონმა 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება რომ მოიპოვა, ამ საქმის ელჩი სწორედ ბექჰემი არ იყო?

კერძოდ რა უნდა გააკეთოს „ლოს ანჯელეს გალაქსის" ნახევარმცველმა? რამდენადაც BBC-სთვის გახდა ცნობილი, ფეხბურთის ასოციაცია მას დირექტორატში უპირებს აყვანას და 32 წლის ვეტერანი სულაც არ არის წინააღმდეგი. 2000-2006 წლებში დევიდ ბექჰემმა ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში 99 თამაში ჩაატარა. როგორც ამბობენ, მეასედ თებერვალში შვეიცარიასთან ამხანაგურ მატჩში ითამაშებს.

მოგეხსენებათ, ბექჰემი ყველაზე ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელია და, ბუნებრივია, მისი სახე 2018 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლაში შესაძლოა ფრიად გამოსადეგი შეიქნას.

ვადები ასეა: კონკურენტმა ქვეყნებმა განაცხადები 2009 წელს უნდა შეიტანონ, 2011-ში კი ფიფა ვერდიქტს გამოიტანს.

**პაატუნა ძიდია**

## საფრანგეთი

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**ტულუზი 1:1 ნანსი**

1:0 ელმანდერი (17), 1:1 ნცაი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 16 | 12 | 1 | 3 | 37:14 | 37 |
| ნანსი | 16 | 9 | 5 | 2 | 24:10 | 32 |
| ბორდო | 16 | 8 | 4 | 4 | 23:20 | 28 |
| ლე მანი | 16 | 8 | 2 | 6 | 23:24 | 26 |
| ვალანსიენი | 16 | 7 | 4 | 5 | 20:16 | 25 |
| ნიცა | 16 | 6 | 6 | 4 | 17:13 | 24 |
| რენი | 16 | 7 | 3 | 6 | 17:18 | 24 |
| მონაკო | 16 | 6 | 4 | 6 | 20:16 | 22 |
| სენტ ეტიენი | 16 | 6 | 4 | 6 | 18:16 | 22 |
| კაენი | 16 | 6 | 4 | 6 | 18:18 | 22 |
| ლანსი | 16 | 5 | 5 | 6 | 15:16 | 20 |
| ლორიანი | 16 | 4 | 8 | 4 | 16:18 | 20 |
| სტრასბური | 16 | 5 | 5 | 6 | 15:18 | 20 |
| ოსერი | 16 | 6 | 2 | 8 | 16:22 | 20 |
| ლილი | 16 | 3 | 9 | 4 | 15:17 | 18 |
| მარსელი | 16 | 4 | 6 | 6 | 15:18 | 18 |
| ტულუზი | 16 | 4 | 6 | 6 | 16:20 | 18 |
| პსჟ | 16 | 3 | 7 | 6 | 13:18 | 16 |
| სოშო | 16 | 2 | 7 | 7 | 12:21 | 13 |
| მეცი | 16 | 1 | 4 | 11 | 8:25 | 7 |

# ოლეგი ოლია არაა

**უკრაინის** ნაკრების მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი თანამდებობიდან გადადგა. „ვფიქრობ, შესაძლებლობები ამოვწურე. მზად ვარ, ჩემს შემცვლელს შევხვდე და გუნდის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მივაწოდო. ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლი ჩავაფლავეთ. მეტოქეების სიძლიერეს არ მოვიმიზეზებ და არც ჩვენი ჩემპიონატის სისუსტეზე დავიჩივლებ. პასუხისმგებლობას მთლიანად საკუთარ თავზე ვიღებ" — თქვა ბლოხინმა. ადგილობრივი ფედერაციის აღმასკომის ერთ-ერთ წევრს უკითხავს, გადადგომის თაობაზე თქვენი განცხადება რომ არ მიეღოთ, წასვლას თუ გადაიფიქრებთო, რაზეც მწვრთნელმა მიუგო: „გოგო არ ვარ, პრანჭიობა რომ დავიწყო. რაც ვთქვი, შევასრულებ და სწორია თუ არა ეს გადაწყვეტილება, დრო გვიჩვენებს".

# მელბერგი ვილადან იუვეში

**იტალიური** მედიის ცნობით, „იუვენტუსი" „ასტონ ვილას" ოლოფ მელბერგის ტრანსფერზე მოურიგდა. შვედეთის ნაკრების მცველი ტურინულ კლუბში სეზონის დასრულებისთანავე, ივნისში გადავა. მას „ვილასთან" ხელშეკრულება 2008-ის მაისში ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება. ამბობენ, „იუვე" ფეხბურთელს კონტრაქტს თებერვალში გაუფორმებსო.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლიდერები გამოაშკარავდნენ

## გმირი ტადეი და ტოტის დაბრუნება

### იტალია

**სერია A**
**გადადებული მატჩები**

**რომა 2:0 კალიარი**

1:0, 2:0 ტადეი (28, 36)
**რომა:** ა. დონი, პანუჩი, მექსეში, ჟუანი, ტონეტო, დე როსი, დ. პიზარო, მანსინი, ტადეი (სისინიო 77), ვუჩინიჩი (ბრიგი 87), ტოტი (ჟიული 63)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
**კალიარი:** მარუოკო, ფ. პიზანო (მატრი 46), ბიზერა, ბიანკო, აგოსტინი, ფერი, კონტი, ბუდელი, მანკოზუ (ფინი 62), ფოჯა, აკვაფრესკა (ლარივეი 73)
მწვრთნელი: ნედო სონეტი
გაფრთხილება: ბიანკო, ტადეი, აგოსტინი
მსაჯი: ორზატო
30 000 მაყურებელი

**ინტერი 3:0 ლაციო**

1:0 იბრაჰიმოვიჩი (21პ), 2:0 მაიკონი (33), 3:0 სუაზო (54)
**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ბურდისო, სამუელი, მაქსველი, ხ. ძანეტი, კამბიასო, პელე (მატერაცი 85), ლ. ხიმენესი (სოლარი 75), სუაზო (კრესპო 61), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
**ლაციო:** ბალოტა, დე სილვესტრი, სტენდარდო (კოლაროვი 46), კრიბარი, ძაური, მუდინგაი, ლედესმა, მანფრედინი, მაური (მეგნი 64), პანდევი (მაკინვა 75), როკი
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: ძაური, ლედესმა, სამუელი
მსაჯი: დამატო
25 000 მაყურებელი

**სერია A-ს** მე-12 ტურის გადადებული მატჩები ჩატარდა და ჩემპიონატის ლიდერებიც უფრო აშკარად გამოიკვეთნენ. თავისი მატჩების საკმაოდ იოლად მოგებით „ინტერმაც“ და „რომამაც“ პოზიციები განიმტკიცეს.

გასული 14 ტურის მერე ლიდერი „ინტერი“ მეორე ადგილზე მყოფ „რომას“ 3 ქულით უსწრებს, რომელსაც, თავის მხრივ, უახლოესი მდევარი „იუვენტუსი“ 5 ქულით ჩამორჩება...

„ინტერი“ — „ლაციოს“ მატჩში ინტრიგა პირველივე ტაიმში მოკვდა. 22-ე წუთზე გულიელმო სტენდარდომ ნიკოლას ბურდისო წააქცია, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა პენალტი ზუსტად დაარტყა და 1:0. ეს „იბრაკადაბრას“ მერვე გოლი გახლდათ მიმდინარე სერია A-ში და ბომბარდირთა დავის ლიდერი დავიდ ტრეზეგე მას მხოლოდ 3 გოლით უსწრებს.

33-ე წუთზე „ნერაძურიმ“ კუთხური ჩააწოდა, დუგლას მაიკონი ყველამ რატომღაც უმეთვალყურეოდ დატოვა და ბრაზილიელმაც ახლოდან უმოწყალოდ გაცხრილა საბრალო მარკო ბალოტა.

მილანელები მატჩის მსვლელობას მშვიდად აკონტროლებდნენ. წერტილი კი 55-ე წუთზე დასვეს — ესტებან კამბიასოს ჭკვიანური გრძელი პასი დავიდ სუაზომ თავით ოსტატურად მიიღო, ბურთი დაამუშავა და მშვენივრადაც დაარტყა.

„ნერაძურის“ მწვრთნელი რობერტო მანჩინი: „ლაციომ“ კარგად დაიწყო და სივრცე არ მოგვცა. თუმცა საწყისი 10 წუთის მერე სათანადოდ ავთამაშდით და, ცხადია, შედეგით კმაყოფილი ვარ. „რომასა“ და ჩვენს შორის კი ის განსხვავებაა, რომ „ჯალოროსის“ „სტადიო ოლიმპიკოზე“ 4:1 მოვუგეთ და 3 ქულით ვუსწრებთ. ცხრილი ამტკიცებს, რომ ჩვენ და ისინი საუკეთესონი ვართ. თუმცა სერია A-ს დამთავრებამდე ჯერ დიდი დროა და „იუვენტუსს“ სკუდეტოსთვის გაბრძოლება ძალუძს. ახლა ყველაზე მეტად ის მაღელვებს, რომ ტრავმებმა გაგვაწამა. ოლივიე დაკური იმაზე სერიოზულადაა დაშავებული, ვიდრე თავიდან ჩანდა. მას მუხლის ჯვარედინი მყესები აქვს დაზიანებული და ექვსი კვირა კი არა, სამწუხაროდ, დიდი შანსია, ამ სეზონში საერთოდ ველარ ითამაშოს“.

„რასაკვირველია, შეშფოთებული ვარ. სეზონში უკვე მეექვსე მატჩი წავაგეთ. მაღელვებს ისიც, რომ ორი გოლი სტანდარტული სიტუაციებიდან გავუშვით, რაც კონცენტრაციის ნაკლებობაზე მეტყველებს. ცოტა უცნაურ ვითარებაში ვართ, ვთამაშობთ ჩემპიონთა ლიგაში და პარარელურად, სერია A-ში ცხრილის ქვედა ნაწილში, გასავარდნ ზონასთან საკმაოდ ახლოს ვართ. ვითარება აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ, ასე გაგრძელება არ შეიძლება“ — თქვა „ბიანკონელესტის“ თავკაცმა დელიო როსიმ.

როგორც იქნა, „რომას“ ფრანჩესკო ტოტი დაუბრუნდა, რომელმაც 63 წუთი არცთუ ურიგოდ ითამაშა და მერე ლუდოვიკ ჟიულით შეცვალეს. თუმცა ოთხშაბათის მატჩში თამაშის და „ჯალოროსის“ გმირი როდრიგო ტადეი გახლდათ.

იტალიური ფესვების მქონე ბრაზილიელმა სარდინიელებს საქმე რვაწუთიან მონაკვეთში მოუმთავრა. 28-ე წუთზე დავიდ პიზაროს ჩაწოდებული ჯარიმისას ტადეი მეურვის გარეშე იყო დატოვებული და თავურით იოლად იხეირა.

36-ე წუთზე კი სტუმართა მეკარემ და მცველებმა მირკო ვუჩინიჩს გატანა არ დაანებეს, მაგრამ ტადეი იქვე გაჩნდა და — 2:0.

სხვათა შორის, ტადეის ტრავმის გამო დაახლოებით ორი თვე გაუცდა და მომჯობინების შემდეგ მხოლოდ მეორე შეხვედრას ატარებდა. ამ ორ მატჩში მან სამი გოლის გატანა მოასწრო.

„რომა“ მეტოქეზე ბევრად უკეთ და მწვავედ გამოიყურებოდაო, რომ გითხრათ, ალბათ არ გაგიკვირდებათ, მაგრამ მომენტები „კალიარისაც“ ჰქონდა და მატჩის შემდეგ სტუმართა მწვრთნელმა ნედო სონეტიმ დაიჩივლა — ცოტა რომ გაგვმართლებოდა და შანსები უკეთ გამოგვეყენებინა, ეგებ არც წაგვეგო, მაგრამ ვაღიარებ, რომ „ჯალოროსიმ“ დამსახურებულად მოიგოო.

„ტოტიმ და ვუჩინიჩმა მშვენივრად ითამაშეს და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მინდორზე ერთად ყოფნა შეუძლიათ. თუმცა ვერ შეგპირდებით, რომ „ლივორნოსთან“ მომავალ მატჩში ორივე ძირითადში იქნება. ტადეი ბრწყინვალე გახლდათ, მან ჩინებულად შეასრულა გამთამაშებლის როლი და ორი გოლიც გაიტანა. „ინტერს“ კი მხოლოდ იმიტომ ჩამოვრჩებით, რომ „სტადიო ოლიმპიკოზე“ მოგვიგო“ — განაცხადა „რომას“ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

**გიორგი ძაძაგაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 14 | 10 | 4 | 0 | 29:8 | 34 |
| რომა | 14 | 9 | 4 | 1 | 30:17 | 31 |
| იუვენტუსი | 14 | 7 | 5 | 2 | 29:13 | 26 |
| უდინეზე | 14 | 7 | 4 | 3 | 17:15 | 25 |
| ფიორენტინა | 14 | 6 | 6 | 2 | 19:11 | 24 |
| ატალანტა | 13 | 5 | 6 | 2 | 21:16 | 21 |
| სამპდორია | 14 | 6 | 2 | 6 | 18:17 | 20 |
| მილანი | 13 | 4 | 6 | 3 | 20:10 | 18 |
| ნაპოლი | 14 | 5 | 3 | 6 | 22:20 | 18 |
| კატანია | 14 | 4 | 6 | 4 | 14:14 | 18 |
| პალერმო | 14 | 4 | 6 | 4 | 18:24 | 18 |
| ტორინო | 14 | 2 | 9 | 3 | 14:15 | 15 |
| პარმა | 14 | 3 | 6 | 5 | 16:22 | 15 |
| ჯენოა | 14 | 3 | 6 | 5 | 13:19 | 15 |
| ლაციო | 14 | 3 | 5 | 6 | 13:20 | 14 |
| ლივორნო | 14 | 3 | 4 | 7 | 17:25 | 13 |
| სიენა | 14 | 1 | 7 | 6 | 13:21 | 10 |
| კალიარი | 14 | 2 | 4 | 8 | 11:22 | 10 |
| რეჯინა | 14 | 1 | 7 | 6 | 9:21 | 10 |
| ემპოლი | 14 | 2 | 4 | 8 | 7:20 | 10 |



„რომას“ კაპიტანი დაუბრუნდა



კაკა და მისი „მილანი“ მსოფლიოს საკლუბო გვირგვინსაც უმიზნებენ

# კაკას კოლექციისთვის ერთი კანფეტი უნდა

## ჰეიმ საქართველო ახსენა

**მსოფლიოს** საკლუბო ჩემპიონატი (ყოფილი საკონტინენტთაშორისო თასი) დღეს დაიწყება და 16 დეკემბერს დასრულდება. ტურნირს იაპონიის სამი ქალაქი უმასპინძლებს: ტოკიო, იოკოჰამა და ტოიოტა. შეჯიბრში შვიდი გუნდი მონაწილეობს, აქედან, ექვსი თავ-თავისი კონტინენტების ჩემპიონები არიან, ხოლო მეშვიდე ირანული „სეპაჰანია“, რომელიც აზიის ჩემპიონთა თასის ფინალში იაპონურ „ურავასთან“ დამარცხდა. „ურავა“ მასპინძლად ითვლება და „სეპაჰანიც“ ამიტომ დაუშვეს.

ირანელები დღეს წინასწარ შესარჩევში შეხვდებიან ოკეანეთის ჩემპიონს, ახალზელანდიურ „ვეიტეიკერს“ და გამარჯვებული მეოთხედფინალში მასპინძელ გუნდს დაეჯახება. მეორე მეოთხედფინალში „ეტუალ საჰელი“ და „პაჩუკა“ ითამაშებენ, ხოლო „ბოკა“ და „მილანი“ ტურნირში ნახევარფინალიდან ჩაერთვებიან. შეჯიბრი ამ ფორმატით მესამედ გაიმართება. წინა ჩემპიონატში (2006) ბრაზილიურმა „ინტერნასიონალმა“ ფინალში ესპანური „ბარსელონა“ დაამარცხა (1:0), ხოლო 2005-ში ასევე ბრაზილიურმა „სან პაულუმ“ ინგლისურ „ლივერპულს“ ასეთივე ანგარიშით სძლია. მოკლედ, უკვე ორი წელია, თასი სამხრეთამერიკელებს მიაქვთ და „მილანს“ ტრადიციის დარღვევა სურს. მით უმეტეს, რომ მილანელებმა 2003 წელს „ბოკა ხუნიორსთან“ პენალტებით 1:3 წააგეს (ძირითადი და დამატებითი დრო 1:1 დასრულდა) და რევანშისთვის ემზადებიან. „ჯერაც არ დამვიწყებია ის მარცხი — თქვა „ოქროს ბურთის“ პატრონმა კაკამ — ძალიან მინდა ამ ჯილდოს მოგება“. მსოფლიოს ჩემპიონს და ჩემპიონთა თასის მფლობელ ბრაზილიელს სრული კოლექციისთვის ეს ტიტულიღა აკლია.

დღევანდელ მატჩში კი ფავორიტად ირანელები ითვლებიან. ამიტომაც თქვა „ვეიტეიკერის“ კაპიტანმა დენი ჰეიმ, რომ თუ მოიგებენ, გამარჯვება თავისი მნიშვნელობით გაუტოლდება ახალზელანდიელთა გასვლას მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატზე ან საქართველოს ძლევას ამხანაგურ მატჩში. ეს იყო ზელანდიელთა პირველი მოგება ევროპულ ნაკრებთან.

საკონტინენტთაშორისო თასი „ბოკასაც“ და „მილანსაც“ სამ-სამჯერ დაუსაკუთრებიათ. ამდენად, თუ ფინალში ეს გუნდები შეხვდებიან, თამაში მით უფრო გამძაფრებული გამოვა. რაც შეეხება კონტინენტურ სტატისტიკას, ჯილდო სამხრეთამერიკელებმა 24-ჯერ წაიღეს, ევროპელებმა კი — 21-ჯერ.

დაბოლოს, ფიფა წლევანდელ ტურნირზე მიკროჩიპიან ბურთის გამოსცდის, რომელმაც მსაჯს საქმე უნდა გაუადვილოს სადავო ეპიზოდში და დაეხმაროს იმის გარკვევაში, გადაიკვეთა თუ არა კარის ხაზი.

**ვაჟა ხუციშვილი**

### მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2007

**შესარჩევი მატჩი**
7 დეკემბერი, ტოკიო
**სეპაჰანი (ირანი) — ვეიტეიკერ იუნაიტედი (ახალი ზელანდია)**

**მეოთხედფინალი**
9 დეკემბერი, ტოკიო
**ეტუალ საჰელი (ტუნისი) — პაჩუკა (მექსიკა)**
10 დეკემბერი, ტოიოტა
**ურავა რედსი (იაპონია) — სეპაჰანი ან ვეიტეიკერ იუნაიტედი**

**ნახევარფინალი**
12 დეკემბერი, ტოკიო
**ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) — ეტუალ საჰელი ან პაჩუკა**
13 დეკემბერი, იოკოჰამა
**მილანი (იტალია) — 10 დეკემბრის მატჩში გამარჯვებული**

**მატჩი მე-3 ადგილისთვის**
16 დეკემბერი, იოკოჰამა

**ფინალი**
16 დეკემბერი, იოკოჰამა

# რეკორდსმენი სუპერპიპო



იტალიის ნაკრებისა და „მილანის“ ვეტერანი ფორვარდი ფილიპო ინძაგი ახლახან უეფას ეგიდით გამართულ თასებზე გატანილი გოლების რაოდენობით რეკორდსმენი გახდა.

სამშაბათს გლაზგოს „სელტიკის“ კარში გატანილი გამარჯვების გოლი ინძაგისთვის 63-ე გახლდათ ევროთასებზე. მან ერთი ბურთით გადაასწრო გერდ მიულერს.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ლეგენდარულ გერმანელ ფორვარდს „ბაზრობათა“ თასზე გატანილი შვიდი გოლი ამ მაჩვენებელში არ ეთვლება. „ბაზრობათა თასი“ კი, როგორც იცით, 1971 წლამდე ტარდებოდა. მას მერე ამ გათამაშებას ფორმატი შეეცვალა და უეფას თასი დაერქვა.

„თავიდან ცოტა გაუგებრობაში ვიყავი, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი მალე გაირკვა და თავის ადგილზე დადგა. თუ აბსოლუტური, ოფიციალური თუ არაოფიციალური რეკორდსმენობისთვის 70 გოლის გატანა დამჭირდება, ყველანაირად ვეცდები, ამ მიზანსაც მივაღწიო. თუმცა ეს ძალიან რთული იქნება. გერდ მიულერის კომენტარები წავიკითხე და ამაყი ვარ, მისმა კომპლიმენტებმა ძალიან გამახარა, რისთვისაც მადლობელი ვარ. იგი მეტოქის საჯარიმოში მელიასავით იყო და თანაგუნდელების მიერ შექმნილი მომენტებითა თუ მეტოქეების შეცდომებით ცხოვრობდა. ასე რომ, რაღაც საერთო ნამდვილად გვაქვს!“ — ღიმილით თქვა 34 წლის „სუპერპიპომ“.

მერე ინძაგიმ 2002-2003 წლების სეზონის „აიაქსთან“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩი გაიხსენა, რომელიც „როსონერიმ“ ბოლო წამებზე გატანილი გოლის წყალობით 3:2 მოიგო და შემდეგ ლიგის გამარჯვებულიც გახდა.

საქმე ის არის, რომ იმ შეხვედრაში მილანელთაგან გოლები ინძაგიმ, ანდრეი შევჩენკომ და ბოლო წამს იონ დალ ტომასონმა გაიტანა. თუმცა ბევრს დღემდე ჰგონია, რომ დამატებულ წუთებზე გატანილი ის გადამწყვეტი გოლი „სუპერპიპოს“ შეგდებულია.

ფილიპო ინძაგი: „გასულ ზაფხულს, სანამ ფინალში „ლივერპულს“ ორ გოლს გავუტანდი და 2:1 მოვიგებდით, ხალხი ყველაზე მეტად „აიაქსთან“ ბოლო წამებზე გატანილი გოლისთვის მეუბნებოდა მადლობას. არადა, ჩემს 63-გოლიან სიაში ეს ბურთი არ შედის, რადგან მე არ გამიტანია. ტომასონმა ყველაფერი კარგად გააკეთა, მეკარეს თავზე გადაავლობურთი, ეს გოლი ეკუთვნოდა და გაიტანა კიდეც. მე ბურთს კი შევეხე, მაგრამ მას კარის ხაზი უკვე გადაკვეთილი ჰქონდა“.

ყველაზე ტკბილად „სუპერპიპოს“, ცხადია, „ლივერპულთან“ მისი დუბლით მოგებული ჩემპიონთა ლიგის ფინალი ახსოვს: „კარიერის მანძილზე მრავალი წარმატებისთვის მიმიღწევია. 2003 წელს ბევრი გოლი გავიტანე და ჩემპიონთა ლიგაც მოვიგეთ, მაგრამ გასულ მაისში, როცა ფინალში „ლივერპული“ ჩემი დუბლით დავამარცხეთ, საოცარი გრძნობა იყო. უზომოდ გახარებული ვიყავი და ვერ ვიჯერებდი რა მოხდა, ცრემლებიც კი წამომივიდა. ღამე დავდიოდი და ვფიქრობდი — მეჩვენება? ეს ლამაზი სიზმარია თუ სინამდვილე?“

დაბოლოს, ინძაგიმ სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა და თქვა, რომ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მოგება სურს, რომელიც დღეს იაპონიაში იწყება.

„წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიტანე გოლი, მერე ევროპის სუპერთასის მატჩში, ორივე ეს ტიტული მოვიგეთ კიდეც. ახლა მინდა, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზეც გავიტანო. თუმც ცხადია, მთავარია, ეს ტურნირი მოვიგოთ. ფანტასტიკური იქნება, თუ ჩვენს მუზეუმს ამ ტიტულითაც გავალამაზებთ. მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის დასრულების მერე კი ვეცდებით, სერია A-ში მდგომარეობა გამოვასწოროთ და ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული სვლა გავაგრძელოთ“ — დასძინა ინძაგიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ტადეი სკუადრა აძურაზე ფიქრობს



იტალიური „რომას“ შემტევ ნახევარმცველ როდრიგო ტადეის „სკუადრა აძურაში“ რომ სთავაზობენ ადგილს, ადრეც გაუწყეთ. 27 წლის ფეხბურთელი ბრაზილიაშია დაბადებული, მაგრამ აპენინური ფესვები და იტალიის მოქალაქეობა აქვს.

რამდენიმე კვირის წინ ტადეიმ თქვა, არა მგონია, სწორი იყოს ახალგაზრდა ჭეშმარიტ იტალიელს ნაკრებში ადგილი წავართვა და ჩემს შანსს დაველოდები, იქნებ ბრაზილიის ნაკრებში გამომიძახონო.

იტალიური პრესის ცნობით, ტადეი ფიქრობს და, შესაძლოა, გადაწყვეტილება შეცვალა კიდეც — ალბათ ევრო 2008-ზე თამაშის პერსპექტივა ხიბლავს. ის, რომ ტადეი კანდიდატად განიხილება, „სკუადრა აძურას“ სამწვრთნელო შტაბის წევრმა ჯიჯი რივამაც დაადასტურა.

„იტალიელ ფეხბურთელებსაც ვაკვირდებით და ყველას, ვინც სერია A-ში თამაშობს. ევრო 2008-ის დაწყებამდე დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ თადარიგი უნდა დავიჭიროთ. რაც შეეხება როდრიგო ტადეის იტალიის ნაკრებში შესაძლო თამაშს, არაფერს გამოვრიცხავ“ — განაცხადა რივამ.

თავად ფეხბურთელი ახლა ამ საკითხზე არ საუბრობს. სამაგიეროდ, სიამოვნებით ლაპარაკობს „რომაზე“ და სკუდეტოსთვის ბრძოლაზე.

როდრიგო ტადეი: „გარწმუნებთ, „ინტერს“ არ ვაკვირდებით და მილანელებზე ზედმეტად არ ვფიქრობთ. მხოლოდ საკუთარ თამაშზე ვართ კონცენტრირებულნი. ყველა მეტოქეს პატივს ვცემთ, მაგრამ ყოველთვის მოსაგებად ვთამაშობთ, წინა სეზონში ბევრი მნიშვნელოვანი ქულა უაზროდ დავკარგეთ, ახლა იგივე შეცდომებს აღარ გავიმეორებთ და რეალობის გრძნობას არ დავკარგავთ. თუ „ინტერზე“ ზედმეტ ფიქრს დავიწყებთ, შეცდომები აუცილებლად გაჩნდება“.

**კოკი კანდელაკი**

## ვერბეეკი ჰიდინკის ნაკვალევზე

ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელად პიმ ვერბეეკი დაინიშნა. 51 წლის ჰოლანდიელმა ივლისში აზიის თასის შემდეგ სამხრეთ კორეა მიატოვა და უსაქმოდ იყო. ვერბეეკი კორეის ნაკრებში გუუს ჰიდინკის თანაშემწედ მუშაობდა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე. ამგვარად, ავსტრალიელებმა 17-თვიანი ძებნის შემდეგ მწვრთნელი იპოვეს. ოზებს მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე ჰიდინკი თავკაცობდა და მისი წასვლის მერე გუნდს დროებით გრემ არნოლდი ხელმძღვანელობდა.

## 30 და ნაკლები

„მილანის“ ხორვატი მცველი დარიო შიმიჩი შესაძლოა, მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადავიდეს. 32 წლის ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობას გაუუცხოვდა და ამ სეზონში ორჯერ შეცვლაზე ათამაშეს. ხორვატმა აგვისტოშივე თქვა, 30-ზე ნაკლები მატჩი თუ მომიგროვდება, წავალო. შიმიჩს ევრო 2008-ზე თამაში სურს და ნაკრებში ადგილის დაკარგვის ეშინია.

## ძამპანია ნაწყენია

ბერგამოს „ატალანტას“ ფორვარდი რიკარდო ძამპანია „ნაპოლიში“ გადასვლას ლამობს, რადგან მწვრთნელ ლუიჯი დელ ნერისთან ურთიერთობა წაუხდა. ამის შესახებ ფეხბურთელის აგენტმა ლუკა ურბანიმ განაცხადა: „ძამპანას იშვიათად ათამაშებენ და დელ ნერიზე ნაწყენია, ამიტომაც სურს გუნდის გამოცვლა და ალბათ იანვარში „ნაპოლის“ მიაშურებს“.

## ვაგნერ ლავი გააგდეს

მოსკოვის ცსკა-ს ბრაზილიელი ფორვარდს ვაგნერ ლავს ვალერი გაზაევთან უთანხმოება მოუვიდა. გუნდი საბერძნეთშია შეკრებაზე და ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურის მატჩისთვის („ფენერბაჩესთან“) ემზადება. ვაგნერ ლავს ცსკა-დან წასვლა უნდა და ვარჯიში ამიტომ იუარა. გაზაევი გაბრაზებულა და ფეხბურთელი გუშინ მოსკოვში გაამგზავრა.

## ჰიონესი გაეროს როლში

„ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰიონესმა დაადასტურა, რომ ვილი სანიოლსა და ოტმარ ჰიცფელდს შორის განხეთქილებაა. ფრანგი მცველი აპრილში დაშავდა, ახლა კი უკვე მომჯობინდა, მაგრამ მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობას მაინც არ გააკარა. ამის გამო სანიოლმა განაცხადა, რომ ზამთარში „ბაიერნიდან“ წავა, მაგრამ ჰიონესი კონფლიქტის მოგვარებას აპირებს.

## მთავარია შოტლანდიური აქცენტი

| 11311 | ექსელსიორი-ბრედა | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11312 | ჰერაკლესი-გრააფსხაპი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11313 | ვიტესი-ტვენტე | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11314 | ჰერენვენი-გრონინგენი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11315 | სპარტა-ნაიმეგენი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11316 | ალკმაარი-უტრეხტი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11317 | ვენლო-ფეიენოორდი | 9.50 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.95 |
| 11319 | ვენდამი-ვოლენდამი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11320 | ემენი-ოსი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11321 | ტელსტარი-ეინდჰოვენი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11322 | დორდრეხტი-კამბური | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11323 | ვალვეიკი-ომნივორლდი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11324 | ზვოლე-ჰაარლემი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11325 | დენ ბოსხი-აპელდორნი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11326 | სიტარდი-როზენდაალი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11327 | დენ ჰააგი-მაასტრიხტი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11328 | ჰელმონდი-ოსი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12135 | ბაიერნი-დუისბურგი | 2.50 | 1.40 |
| 12137 | ლევერკუზენი-ჰანზა | 2.10 | 1.50 |
| 12138 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.80 | 1.75 |
| 12139 | ჰამბურგი-კოტბუსი | 2.00 | 1.60 |
| 12141 | ბოხუმი-კარლსრუე | 1.80 | 1.75 |
| 12142 | დორტმუნდი-არმინია | 1.90 | 1.60 |
| 12143 | ჰანოვერი-ვერდერი | 1.90 | 1.60 |
| 12145 | აინტრახტი-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 12146 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 2.00 | 1.60 |
| 12148 | მაინცი-კიოლნი | 1.90 | 1.70 |
| 12149 | ალემანია-ზტ.პაული | 1.90 | 1.70 |
| 12150 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1.90 | 1.70 |
| 12151 | კაიზერსლაუტერნი-კარლ ცაისი | 1.80 | 1.75 |
| 12152 | ოფენბახი-ფიურტი | 1.70 | 1.90 |
| 12153 | აუე-კობლენცი | 1.90 | 1.70 |
| 12154 | პადერბორნი-ვეენი | 1.75 | 1.80 |
| 12155 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 1.85 | 1.70 |
| 12156 | ოსნაბრიუკი-მიუნხენი 1860 | 1.80 | 1.75 |
| 12175 | მატერსბურგი-ალტახი | 1.90 | 1.70 |
| 12176 | ავსტრია-შტურმი | 1.80 | 1.75 |
| 12177 | ზალცბურგი-რიდი | 1.90 | 1.60 |
| 12178 | ტიროლი-რაპიდი | 1.85 | 1.70 |
| 12179 | ლინცი-ავსტრია კერნტენი | 1.90 | 1.70 |
| 12278 | ბასტია-ანჟე | 1.55 | 2.00 |
| 12279 | ბრესტი-შატორუ | 1.50 | 2.00 |
| 12280 | კლერმონი-რეიმსი | 1.60 | 2.00 |
| 12281 | დიჟონი-ნიორი | 1.50 | 2.10 |
| 12282 | გრენობლი-ბულონი | 1.60 | 2.00 |
| 12283 | გინგამი-გენიონი | 1.50 | 2.10 |
| 12284 | ლე ჰავრი-მონპელიე | 1.60 | 1.90 |
| 12285 | ლიბურნი-სედანი | 1.60 | 2.00 |
| 12286 | ნანტი-ამიენი | 1.70 | 1.90 |
| 12287 | ტრუა-აიაჩო | 1.55 | 2.00 |
| 12288 | ბრაიტონი-იოვილი | 1.90 | 1.70 |
| 12289 | ბერი-ლეიტონი | 1.70 | 1.90 |
| 12290 | ბორნმუთი-მილუოლი | 2.00 | 1.60 |
| 12291 | როტერჰემი-ბრენტფორდი | 2.00 | 1.60 |
| 12293 | სენტ-ტრუიდენი-ანდერლეხტი | 2.00 | 1.60 |
| 12294 | ჰერეფორდი-შრუსბერი | 1.90 | 1.60 |
| 12296 | უიკომბი-მორკემბი | 1.90 | 1.70 |
| 12297 | გრიმზბი-დარლინგტონი | 2.00 | 1.60 |
| 12298 | ჩესტერი-მანსფილდი | 1.80 | 1.75 |
| 12307 | ნეკ-როდა | 2.10 | 1.50 |
| 12309 | ტილბურგი-აიაქსი | 2.10 | 1.50 |
| 12311 | ექსცელსიორი-ბრედა | 2.00 | 1.60 |
| 12312 | ჰერაკლესი-გრაფშაპი | 1.90 | 1.70 |
| 12313 | ვიტესი-ტვენტე | 1.80 | 1.75 |
| 12314 | ჰერენვენი-გრონინგენი | 2.10 | 1.50 |
| 12315 | სპარტა-ნაიმეგენი | 2.00 | 1.60 |
| 12316 | ალკმაარი-უტრეხტი | 2.10 | 1.50 |
| 12317 | ვენლო-ეინდჰოვენი | 2.10 | 1.50 |
| 12319 | ფეიენოორდი-ვოლენდამი | 2.00 | 1.60 |
| 12320 | ემენი-გოუ ეჰედი | 2.10 | 1.60 |
| 12321 | ტელსტარი-ვეენდამი | 2.10 | 1.60 |
| 12322 | დორდრეხტი-კამბური | 2.00 | 1.50 |
| 12323 | ვალვეიკი-ომნივორლდი | 1.70 | 1.90 |
| 12324 | ზვოლე-ჰაარლემი | 2.00 | 1.60 |
| 12325 | დენ ბოსხი-აპელდორნი | 2.10 | 1.50 |
| 12326 | სიტარდი-როზენდაალი | 2.00 | 1.60 |
| 12327 | დენ ჰააგი-მაასტრიხტი | 2.00 | 1.70 |
| 12328 | ჰელმონდი-ოსი | 2.10 | 1.60 |

## გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17135 | ბაიერნი-დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17137 | ლევერკუზენი-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17138 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17139 | ჰამბურგი-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17141 | ბოხუმი-კარლსრუე | 1.85 | 1.95 |
| 17142 | დორტმუნდი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17143 | ჰანოვერი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17145 | აინტრახტი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17146 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17148 | მაინცი-კიოლნი | 1.85 | 1.95 |
| 17149 | ალემანია-ზტ.პაული | 1.85 | 1.95 |
| 17150 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17151 | კაიზერსლაუტერნი-კარლ ცაისი | 1.85 | 1.95 |
| 17152 | ოფენბახი-ფიურტი | 1.85 | 1.95 |
| 17153 | აუე-კობლენცი | 1.85 | 1.95 |
| 17154 | პადერბორნი-ვეენი | 1.85 | 1.95 |
| 17155 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17156 | ოსნაბრიუკი-მიუნხენი 1860 | 1.85 | 1.95 |
| 17175 | მატერსბურგი-ალტახი | 1.85 | 1.95 |
| 17176 | ავსტრია-შტურმი | 1.85 | 1.95 |
| 17177 | ზალცბურგი-რიდი | 1.85 | 1.95 |
| 17178 | ტიროლი-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 17179 | ლინცი-ავსტრია კერნტენი | 1.85 | 1.95 |
| 17278 | ბასტია-ანჟე | 1.85 | 1.95 |
| 17279 | ბრესტი-შატორუ | 1.85 | 1.95 |
| 17280 | კლერმონი-რეიმსი | 1.85 | 1.95 |
| 17281 | დიჟონი-ნიორი | 1.85 | 1.95 |
| 17282 | გრენობლი-ბულონი | 1.85 | 1.95 |
| 17283 | გინგამი-გენიონი | 1.85 | 1.95 |
| 17284 | ლე ჰავრი-მონპელიე | 1.85 | 1.95 |
| 17285 | ლიბურნი-სედანი | 1.85 | 1.95 |
| 17286 | ნანტი-ამიენი | 1.85 | 1.95 |
| 17287 | ტრუა-აიაჩო | 1.85 | 1.95 |
| 17288 | ბრაიტონი-იოვილი | 1.85 | 1.95 |
| 17289 | ბერი-ლეიტონი | 1.85 | 1.95 |
| 17290 | ბორნმუთი-მილუოლი | 1.85 | 1.95 |
| 17291 | როტერჰემი-ბრენტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17293 | სენტ-ტრუიდენი-ანდერლეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17294 | ჰერეფორდი-შრუსბერი | 1.85 | 1.95 |
| 17296 | უიკომბი-მორკემბი | 1.85 | 1.95 |
| 17297 | გრიმზბი-დარლინგტონი | 1.85 | 1.95 |
| 17298 | ჩესტერი-მანსფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17307 | ნეკ-როდა | 1.85 | 1.95 |
| 17309 | ტილბურგი-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17311 | ექსცელსიორი-ბრედა | 1.85 | 1.95 |
| 17312 | ჰერაკლესი-გრაფშაპი | 1.85 | 1.95 |
| 17313 | ვიტესი-ტვენტე | 1.85 | 1.95 |
| 17314 | ჰერენვენი-გრონინგენი | 1.85 | 1.95 |
| 17315 | სპარტა-ნაიმეგენი | 1.85 | 1.95 |
| 17316 | ალკმაარი-უტრეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17317 | ვენლო-ეინდჰოვენი | 1.85 | 1.95 |
| 17319 | ფეიენოორდი-ვოლენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17320 | ემენი-გოუ ეჰედი | 1.85 | 1.95 |
| 17321 | ტელსტარი-ვეენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17322 | დორდრეხტი-კამბური | 1.85 | 1.95 |
| 17323 | ვალვეიკი-ომნივორლდი | 1.85 | 1.95 |
| 17324 | ზვოლე-ჰაარლემი | 1.85 | 1.95 |
| 17325 | დენ ბოსხი-აპელდორნი | 1.85 | 1.95 |
| 17326 | სიტარდი-როზენდაალი | 1.85 | 1.95 |
| 17327 | დენ ჰააგი-მაასტრიხტი | 1.85 | 1.95 |
| 17328 | ჰელმონდი-ოსი | 1.85 | 1.95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14138 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.80 | 2.00 |
| 14141 | ბოხუმი-კარლსრუე | 1.80 | 2.00 |
| 14142 | დორტმუნდი-არმინია | 1.30 | 2.50 |
| 14143 | ჰანოვერი-ვერდერი | 2.10 | 1.75 |
| 14145 | აინტრახტი-შალკე | 2.00 | 1.80 |
| 14146 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.30 | 2.50 |
| 14148 | მაინცი-კიოლნი | 1.75 | 2.10 |
| 14149 | ალემანია-ზტ.პაული | 1.45 | 2.40 |
| 14150 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 14151 | კაიზერსლაუტერნი-კარლ ცაისი | 1.45 | 2.40 |
| 14152 | ოფენბახი-ფიურტი | 1.85 | 1.95 |
| 14153 | აუე-კობლენცი | 1.75 | 2.10 |
| 14154 | პადერბორნი-ვეენი | 1.75 | 2.10 |
| 14155 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 1.30 | 2.50 |
| 14156 | ოსნაბრიუკი-მიუნხენი 1860 | 1.85 | 1.95 |
| 14175 | მატერსბურგი-ალტახი | 1.30 | 2.50 |
| 14176 | ავსტრია-შტურმი | 1.75 | 2.10 |
| 14177 | ზალცბურგი-რიდი | 1.20 | 2.60 |
| 14178 | ტიროლი-რაპიდი | 2.00 | 1.80 |
| 14179 | ლინცი-ავსტრია კერნტენი | 1.30 | 2.50 |
| 14278 | ბასტია-ანჟე | 1.65 | 2.30 |
| 14279 | ბრესტი-შატორუ | 1.70 | 2.20 |
| 14280 | კლერმონი-რეიმსი | 1.65 | 2.30 |
| 14281 | დიჟონი-ნიორი | 1.75 | 2.10 |
| 14282 | გრენობლი-ბულონი | 1.30 | 2.50 |
| 14283 | გინგამი-გენიონი | 1.80 | 2.00 |
| 14284 | ლე ჰავრი-მონპელიე | 1.65 | 2.30 |
| 14285 | ლიბურნი-სედანი | 1.90 | 1.90 |
| 14286 | ნანტი-ამიენი | 1.20 | 2.60 |
| 14287 | ტრუა-აიაჩო | 1.65 | 2.30 |
| 14288 | ბრაიტონი-იოვილი | 2.20 | 1.70 |
| 14289 | ბერი-ლეიტონი | 1.45 | 2.40 |
| 14290 | ბორნმუთი-მილუოლი | 1.30 | 2.50 |
| 14291 | როტერჰემი-ბრენტფორდი | 2.40 | 1.45 |
| 14293 | სენტ-ტრუიდენი-ანდერლეხტი | 2.50 | 1.30 |
| 14294 | ჰერეფორდი-შრუსბერი | 1.20 | 2.60 |
| 14296 | უიკომბი-მორკემბი | 1.45 | 2.40 |
| 14297 | გრიმზბი-დარლინგტონი | 1.30 | 2.50 |
| 14298 | ჩესტერი-მანსფილდი | 1.70 | 2.20 |
| 14309 | ტილბურგი-აიაქსი | 2.60 | 1.20 |
| 14311 | ექსცელსიორი-ბრედა | 2.30 | 1.65 |
| 14312 | ჰერაკლესი-გრაფშაპი | 1.80 | 2.00 |
| 14313 | ვიტესი-ტვენტე | 2.10 | 1.75 |
| 14314 | ჰერენვენი-გრონინგენი | 1.65 | 2.30 |
| 14315 | სპარტა-ნაიმეგენი | 1.95 | 1.85 |
| 14316 | ალკმაარი-უტრეხტი | 1.30 | 2.50 |
| 14319 | ფეიენოორდი-ვოლენდამი | 1.80 | 2.00 |
| 14320 | ემენი-გოუ ეჰედი | 2.00 | 1.80 |
| 14321 | ტელსტარი-ვეენდამი | 1.45 | 2.40 |
| 14322 | დორდრეხტი-კამბური | 1.20 | 2.60 |
| 14324 | ზვოლე-ჰაარლემი | 1.20 | 2.60 |
| 14325 | დენ ბოსხი-აპელდორნი | 1.20 | 2.60 |
| 14326 | სიტარდი-როზენდაალი | 2.20 | 1.70 |
| 14327 | დენ ჰააგი-მაასტრიხტი | 1.65 | 2.30 |
| 14328 | ჰელმონდი-ოსი | 1.45 | 2.40 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15138 | ნიურნბერგი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15141 | ბოხუმი-კარლსრუე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15142 | დორტმუნდი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15143 | ჰანოვერი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | აინტრახტი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | მაინცი-კიოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | ალემანია-ზტ.პაული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | კაიზერსლაუტერნი-კარლ ცაისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15152 | ოფენბახი-ფიურტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15153 | აუე-კობლენცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15154 | პადერბორნი-ვეენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15155 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15156 | ოსნაბრიუკი-მიუნხენი 1860 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15175 | მატერსბურგი-ალტახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | ავსტრია-შტურმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | ზალცბურგი-რიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | ტიროლი-რაპიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15179 | ლინცი-ავსტრია კერნტენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15278 | ბასტია-ანჟე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15279 | ბრესტი-შატორუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15280 | კლერმონი-რეიმსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15281 | დიჟონი-ნიორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15282 | გრენობლი-ბულონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15283 | გინგამი-გენიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15284 | ლე ჰავრი-მონპელიე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15285 | ლიბურნი-სედანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15286 | ნანტი-ამიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15287 | ტრუა-აიაჩო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15288 | ბრაიტონი-იოვილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15289 | ბერი-ლეიტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15290 | ბორნმუთი-მილუოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15291 | როტერჰემი-ბრენტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15293 | სენტ-ტრუიდენი-ანდერლეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15294 | ჰერეფორდი-შრუსბერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15296 | უიკომბი-მორკემბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15297 | გრიმზბი-დარლინგტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15298 | ჩესტერი-მანსფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15309 | ტილბურგი-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15311 | ექსცელსიორი-ბრედა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15312 | ჰერაკლესი-გრაფშაპი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15313 | ვიტესი-ტვენტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15314 | ჰერენვენი-გრონინგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15315 | სპარტა-ნაიმეგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15316 | ალკმაარი-უტრეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15319 | ფეიენოორდი-ვოლენდამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15320 | ემენი-გოუ ეჰედი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15321 | ტელსტარი-ვეენდამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15322 | დორდრეხტი-კამბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15324 | ზვოლე-ჰაარლემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15325 | დენ ბოსხი-აპელდორნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15326 | სიტარდი-როზენდაალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15327 | დენ ჰააგი-მაასტრიხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15328 | ჰელმონდი-ოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16138 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.55 | 2.20 |
| 16141 | ბოხუმი-კარლსრუე | 1.55 | 2.20 |
| 16142 | დორტმუნდი-არმინია | 1.22 | 3.40 |
| 16143 | ჰანოვერი-ვერდერი | 2.20 | 1.50 |
| 16145 | აინტრახტი-შალკე | 2.10 | 1.60 |
| 16146 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.22 | 3.40 |
| 16148 | მაინცი-კიოლნი | 1.52 | 2.20 |
| 16149 | ალემანია-ზტ.პაული | 1.25 | 3.40 |
| 16150 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.95 |
| 16151 | კაიზერსლაუტერნი-კარლ ცაისი | 1.23 | 3.60 |
| 16152 | ოფენბახი-ფიურტი | 1.75 | 1.85 |
| 16153 | აუე-კობლენცი | 1.52 | 2.20 |
| 16154 | პადერბორნი-ვეენი | 1.50 | 2.30 |
| 16155 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 1.17 | 4.10 |
| 16156 | ოსნაბრიუკი-მიუნხენი 1860 | 1.80 | 1.85 |
| 16175 | მატერსბურგი-ალტახი | 1.22 | 3.40 |
| 16176 | ავსტრია-შტურმი | 1.45 | 2.45 |
| 16177 | ზალცბურგი-რიდი | 1.10 | 5.50 |
| 16178 | ტიროლი-რაპიდი | 2.05 | 1.65 |
| 16179 | ლინცი-ავსტრია კერნტენი | 1.14 | 4.70 |
| 16278 | ბასტია-ანჟე | 1.32 | 3.00 |
| 16279 | ბრესტი-შატორუ | 1.34 | 2.80 |
| 16280 | კლერმონი-რეიმსი | 1.30 | 3.00 |
| 16281 | დიჟონი-ნიორი | 1.50 | 2.30 |
| 16282 | გრენობლი-ბულონი | 1.22 | 3.40 |
| 16283 | გინგამი-გენიონი | 1.62 | 2.05 |
| 16284 | ლე ჰავრი-მონპელიე | 1.30 | 3.00 |
| 16285 | ლიბურნი-სედანი | 1.85 | 1.80 |
| 16286 | ნანტი-ამიენი | 1.11 | 5.70 |
| 16287 | ტრუა-აიაჩო | 1.30 | 3.00 |
| 16288 | ბრაიტონი-იოვილი | 2.45 | 1.40 |
| 16289 | ბერი-ლეიტონი | 1.24 | 3.60 |
| 16290 | ბორნმუთი-მილუოლი | 1.14 | 4.70 |
| 16291 | როტერჰემი-ბრენტფორდი | 3.00 | 1.30 |
| 16293 | სენტ-ტრუიდენი-ანდერლეხტი | 3.60 | 1.23 |
| 16294 | ჰერეფორდი-შრუსბერი | 1.11 | 5.70 |
| 16296 | უიკომბი-მორკემბი | 1.24 | 3.60 |
| 16297 | გრიმზბი-დარლინგტონი | 1.14 | 4.70 |
| 16298 | ჩესტერი-მანსფილდი | 1.34 | 2.80 |
| 16309 | ტილბურგი-აიაქსი | 4.20 | 1.15 |
| 16311 | ექსცელსიორი-ბრედა | 2.90 | 1.32 |
| 16312 | ჰერაკლესი-გრაფშაპი | 1.62 | 2.05 |
| 16313 | ვიტესი-ტვენტე | 2.10 | 1.60 |
| 16314 | ჰერენვენი-გრონინგენი | 1.30 | 3.00 |
| 16315 | სპარტა-ნაიმეგენი | 1.80 | 1.85 |
| 16316 | ალკმაარი-უტრეხტი | 1.14 | 4.70 |
| 16319 | ფეიენოორდი-ვოლენდამი | 1.62 | 2.05 |
| 16320 | ემენი-გოუ ეჰედი | 1.95 | 1.65 |
| 16321 | ტელსტარი-ვეენდამი | 1.23 | 3.60 |
| 16322 | დორდრეხტი-კამბური | 1.11 | 5.70 |
| 16324 | ზვოლე-ჰაარლემი | 1.11 | 5.70 |
| 16325 | დენ ბოსხი-აპელდორნი | 1.11 | 5.70 |
| 16326 | სიტარდი-როზენდაალი | 2.30 | 1.45 |
| 16327 | დენ ჰააგი-მაასტრიხტი | 1.30 | 3.00 |
| 16328 | ჰელმონდი-ოსი | 1.24 | 3.60 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13135 | ბაიერნი-დუისბურგი | 2.00 | 1.50 |
| 13137 | ლევერკუზენი-ჰანზა | 1.90 | 1.70 |
| 13138 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.60 | 1.90 |
| 13139 | ჰამბურგი-კოტბუსი | 2.00 | 1.60 |
| 13141 | ბოხუმი-კარლსრუე | 1.60 | 1.90 |
| 13142 | დორტმუნდი-არმინია | 1.60 | 2.00 |
| 13143 | ჰანოვერი-ვერდერი | 1.60 | 2.00 |
| 13145 | აინტრახტი-შალკე | 1.60 | 1.90 |
| 13146 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.60 | 1.90 |
| 13148 | მაინცი-კიოლნი | 1.70 | 1.90 |
| 13149 | ალემანია-ზტ.პაული | 1.70 | 1.90 |
| 13150 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.90 |
| 13151 | კაიზერსლაუტერნი-კარლ ცაისი | 1.70 | 1.90 |
| 13152 | ოფენბახი-ფიურტი | 1.70 | 1.90 |
| 13153 | აუე-კობლენცი | 1.70 | 1.90 |
| 13154 | პადერბორნი-ვეენი | 1.70 | 1.90 |
| 13155 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 1.90 | 1.70 |
| 13156 | ოსნაბრიუკი-მიუნხენი 1860 | 1.70 | 1.90 |
| 13175 | მატერსბურგი-ალტახი | 1.70 | 1.90 |
| 13176 | ავსტრია-შტურმი | 1.70 | 1.90 |
| 13177 | ზალცბურგი-რიდი | 2.00 | 1.50 |
| 13178 | ტიროლი-რაპიდი | 1.70 | 1.90 |
| 13179 | ლინცი-ავსტრია კერნტენი | 1.90 | 1.60 |
| 13288 | ბრაიტონი-იოვილი | 1.60 | 1.90 |
| 13289 | ბერი-ლეიტონი | 1.70 | 1.90 |
| 13290 | ბორნმუთი-მილუოლი | 1.70 | 1.90 |
| 13291 | როტერჰემი-ბრენტფორდი | 1.60 | 2.00 |
| 13293 | სენტ-ტრუიდენი-ანდერლეხტი | 1.60 | 1.90 |
| 13294 | ჰერეფორდი-შრუსბერი | 1.90 | 1.70 |
| 13296 | უიკომბი-მორკემბი | 1.60 | 1.90 |
| 13297 | გრიმზბი-დარლინგტონი | 1.70 | 1.90 |
| 13298 | ჩესტერი-მანსფილდი | 1.70 | 1.90 |
| 13307 | ნეკ-როდა | 1.90 | 1.70 |
| 13309 | ტილბურგი-აიაქსი | 1.80 | 1.70 |
| 13311 | ექსცელსიორი-ბრედა | 1.60 | 2.00 |
| 13312 | ჰერაკლესი-გრაფშაპი | 1.60 | 2.00 |
| 13313 | ვიტესი-ტვენტე | 1.60 | 1.90 |
| 13314 | ჰერენვენი-გრონინგენი | 1.50 | 2.00 |
| 13315 | სპარტა-ნაიმეგენი | 1.60 | 2.00 |
| 13316 | ალკმაარი-უტრეხტი | 1.60 | 2.00 |
| 13317 | ვენლო-ეინდჰოვენი | 1.70 | 1.90 |

# ქართველთა ხუთრგოლიანი სტატისტიკა




ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი: დიტო შანიძე და სერგეი კოვალენკო მეხიკოს ქუჩებში

**ოლიმპიური** სტატისტიკა ძალზე მრავალფეროვანი და საინტერესოა. უამრავი ციფრისა და მონაცემის მიღმა მრავალი საგულისხმო ფაქტი, მიღწევა, მოვლენა და ისტორია იმალება, რაც ხშირად განსჯის საგანი ხდება. სტატისტიკა რომ არა, ბევრი რამ არ გვეცოდინებოდა. არ გვეცოდინებოდა, მაგალითად, ვინ გადმოიხედა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურიდან ყველაზე მეტჯერ, ან ვინ არის საერთოდ, ყველაზე ბევრი ოლიმპიური მედლის მფლობელი; ვინ არის ნორჩი ან ხანდაზმული ოლიმპიური ჩემპიონი, საერთოდ, მედალოსანი ან უბრალოდ, ოლიმპიადის მონაწილე; ვინ არის ყველაზე მაღალი, დაბალი ან ყველაზე მძიმე და მსუბუქი ოლიმპიელი; ერთ ოლიმპიურ თამაშებზე რომელმა მათგანმა მოიპოვა ყველაზე მეტი მედალი, ან ვინ არის ის სპორტსმენი, რომელმაც თავისი ჯილდოების კოლექცია ყველაზე მეტ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობით შეავსო.

სტატისტიკა სხვა მხრივ გამორჩეულ ოლიმპიელთა ვინაობასაც გვაცნობს, მაგრამ ახლა მათი მშრალი ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომაც ჩვენს შინაურ, ქართულ ოლიმპიურ სტატისტიკას გადავხედავთ, რაც პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოსაპოვებლად გახურებულ ბრძოლაში უინტერესო არ უნდა იყოს.

საქართველოს სპორტსმენებმა ყველაზე მეტი — 12-12 მედალი 1980 წელს მოსკოვისა და 1988 წელს სეულის ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვეს. მაშინ ერთგანაც და მეორეგანაც 16 სპორტსმენი გვყავდა. მოსკოვში ისინი სპორტის 18 სახეობას წარმოადგენდნენ, ხოლო სეულის სარბიელზე უკვე 14 სახეობაში გვყავდა მონაწილე.

ჩვენი სპორტსმენები ყველაზე მეტი ოქროს მედლით 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიური თამაშებიდან დაბრუნდნენ. მაშინ საქართველოს 16 სპორტსმენიდან ექვსი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

დღეს, მათ შორის, ვინც პეკინის ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა, ყველაზე გამორჩეული ჩვენი სპორტული და პნევმატური პისტოლეტით მსროლელი ნინო სალუქვაძეა.

ნინო სალუქვაძისთვის პეკინის ოლიმპიური თამაშები მეექვსე იქნება. იგი ამ მხრივ ჩვენს ოლიმპიურ ისტორიაში რეკორდსმენია, ეს სახელი მან უკვე ათენში მოიპოვა, როცა თავის მეხუთე ოლიმპიადაზე გამოვიდა. თუმცა მისთვის, ბუნებრივია, უფრო საამაყო ის ოქროსა და ვერცხლის მედლებია, რომლებიც ჯერ კიდევ 1988 წელს სეულის ოლიმპიურ სარბიელზე დაიმსახურა.

ამგვარად, ნინო სალუქვაძემ გაიმეორა ჩვენი ტანმოვარჯიშე მზია ჯუღელის წარმატება, რაც ჰელსინკის (1952 წ) ოლიმპიადაზე ასევე თითო ოქროსა და ვერცხლის მედლის მოპოვებით აღინიშნა.

ამგვარად, მხოლოდ ეს ორი სპორტსმენი გვყავს ისეთი, რომლებმაც ერთ ოლიმპიადაზე ორი მედალი დაიმსახურეს.

ოლიმპიური მედლების სიმრავლით საქართველოში ყველაზე გამორჩეული ვიქტორ სანეევია, რომელიც ოთხ ოლიმპიადაზე მონაწილეობდა და ოთხჯერვე საპატიო კვარცხლბეკზე ავიდა. აქედან ზედიზედ სამჯერ (მეხიკოში, მიუნხენსა და მონრეალში) ჩემპიონი გახდა, ხოლო მოსკოვში ვერცხლის მედალი მოიპოვა, მსგავსი წარმატებისთვის კი სამხტომში მთელ მსოფლიოში არავის მიუღწევია. ამასთან, ვიქტორ სანეევმა თავის პირველ ოლიმპიურ გამარჯვებას მსოფლიოსა და ოლიმპიური რეკორდით მიაღწია — 17,39, ამ შედეგმა კი ოთხ ოლიმპიურ თამაშებს გაუძლო და მხოლოდ 20 წლის შემდეგ სეულში ბულგარელმა მარკოვმა გააუმჯობესა (17,62).

საქართველოს სპორტსმენთაგან რაფაელ ჩემიშკიანი პირველი იყო, ვინც ოლიმპიური ჩემპიონობა მსოფლიოს რეკორდით მოიპოვა. ეს მან ჰელსინკის თამაშებზე 60 კგ წონის ძალოსანთა შორის შეძლო, როცა სამჭიდში 337,5 კილოგრამს მოუყარა თავი.

ჩვენი სპორტსმენებიდან პირველი ოლიმპიური რეკორდის მფლობელია ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი. მან ჰელსინკში 200 მეტრზე წინასწარ გარბენში ოლიმპიური რეკორდი (24,1) დაამყარა, ბოლოს კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ხნიკინა-დვალიშვილი ასევე პირველია, ვინც მედლები ორ ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა. მეორედ მან ეს მომდევნო, მელბურნის ოლიმპიადაზე შეძლო, სადაც ასევე ბრინჯაო დაიმსახურა, ოღონდ ამჯერად სიგრძეზე ხტომაში.

საქართველოს სპორტსმენთაგან, ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის სიმრავლით სალუქვაძეს და სანეევს მოჰყვება ოთხგზის ოლიმპიელი და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსანი, კახი კახიაშვილი, რომელმაც პირველი ოქრო საქართველოსა და დსთ-ს მოუტანა, დანარჩენები კი — საბერძნეთს.

სამგზის ოლიმპიელები არიან: ველომრბოლი ომარ ფხაკაძე, მესტენდური რამაზ იმნაიშვილი, თავისუფალი სტილის მოჭიდავე ლერი ხაბელოვი, მშვილდოსნები — ხათუნა ქვრივიშვილი (შემდგომში ლორიგი), ხათუნა ნარიმანიძე, სპორტული ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძე, თავისუფალი სტილის მოჭიდავე ლუკა კურტანიძე. ამ სპორტსმენთაგან ლერი ხაბელოვი ორჯერ საქართველოს, შემდეგ კი რუსეთის სახელით გამოვიდა.

იმ სამგზის ოლიმპიელთაგან, რომლებიც დღესაც მწყობრში არიან, პეკინის ოლიმპიადა მეოთხე იქნება ილია გიორგაძისთვის, რომელმაც ლიცენზია უკვე მოიპოვა. ასეთივე შანსი აქვს ლუკა კურტანიძეს, რომელიც ჯერჯერობით ულიცენზიოა.

ახლა ცოტაოდენი თავშესაქცევი სტატისტიკა: საქართველოს ოლიმპიელთაგან ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიელი იყო მოცურავე თინათინ ლეკვეიშვილი, რომელმაც მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე 14 წლისამ იასპარეზა, ხოლო ყველაზე ხანდაზმული გამოდგა აფროსანი გურამ ბიგანიშვილი, ვინც ათენის ოლიმპიურ სარბიელზე 46 წლისა გამოდიოდა.

საინტერესოა, რომ ამ ორი სპორტსმენის ამგვარი რეკორდებს პეკინის ოლიმპიადის ჩათვლით არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

ჩვენი ოლიმპიელებიდან ყველაზე მძიმე იყო ძიუდოისტი დავით ხახალეიშვილი (140 კგ), ყველაზე ტანმორჩილი — წყალში მხტომელი ნანა ყაზარაშვილი (152 სმ), ყველაზე მაღალი — კალათბურთელი სერგეი კოვალენკო (215 სმ). დღეისთვის ნათელია, რომ პეკინის ოლიმპიადაზე არც ეს მონაცემები შეიცვლება.

სხვათა შორის, სერგეი კოვალენკო მეხიკოს ოლიმპიადაზე მთელ საბჭოთა დელეგაციაში ყველაზე მაღალი იყო. იქვე ყველაზე ტანმორჩილიც ასევე ჩვენი სპორტსმენი, ძალოსანი დიტო შანიძე აღმოჩნდა.

დაბოლოს, ერთი საინტერესო მონაცემიც — საქართველოს ოლიმპიელთაგან ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის ბოლო ეტაპის წინ მეჩირაღდნეთა შორის ორი სპორტსმენი იყო — ვიქტორ სანეევი (მოსკოვში) და კახი კახიაშვილი (ათენში), ოღონდ ეს ძალოსანი უკვე საბერძნეთის სახელით გამოდიოდა.

**ავთანდილ გურასაშვილი**





# შარაპოვა მესამეა

**ჟურნალმა** „ფორბსმა“ ყველაზე შემოსავლიანი ახალგაზრდა სპორტსმენების (25 წლამდე) სია გამოაქვეყნა, რომელშიც მარია შარაპოვამ საპატიო, მესამე ადგილი დაიკავა.

დღესდღეობით სპორტი შოუბიზნესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, რის გამოც სპორტსმნები სპორტულ არენებზე გამომუშავებული თანხის გარდა, პირად ანგარიშს სერიოზულად ივსებენ სხვადასხვა პროდუქტისა თუ ინვენტარის რეკლამირებით. ჰოდა, ამიტომაც სპორტსმენთა წლიური შემოსავლები უკვე ასტრონომიულ თანხებს უკაკუნებს.

ამ სიაში პირველი ადგილი კალათბურთელმა, „კლივლენდ კავალიერზის“ ვუნდერკინდმა ლებრონ ჯეიმსმა დაიკავა. 22 წლის უკანასკნელმა წლეულს 27 მილიონის გამომუშავება მოახერხა. მეორე ადგილზე ამერიკული ფეხბურთის გუნდ „ნიუ ორლეან ჰორნეთსის“ ახალგაზრდა ვარსკვლავი რეჯი ბუშია — მიუხედავად იმისა, რომ სპორტული თვალსაზრისით მან სპეციალისტთა იმედები ვერ გაამართლა, ეს ბუშის პოპულარობასა და შესაბამისად სარეკლამო კონტრაქტებს არაფრით დატყობია. ის წლეულს 24 მილიონით გამდიდრდა.

შარაპოვა სწორედ ამ დუეტს ჩამორჩება — რუსმა პრიმამ წლეულს პირადი ანგარიში 23 მილიონით შეივსო.

**ბაჩა ლომჯაშვილი**

# ავსტრალიაში დიდ სანახაობას ელიან

**2008 წლის** საჩოგბურთო სეზონის პირველი დიდი ფორუმი მართლაც შთამბეჭდავ სანახაობად უნდა იქცეს — ავსტრალიის ღია პირველობაზე თითქმის ყველა უძლიერესი მეჩოგნე ითამაშებს. უკვე ამბობენ, ამ ტურნირის 103-ლიანი ისტორიის განმავლობაში ამდენად ძლიერი შემადგენლობა არასდროს შეკრებილაო.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, მოგახსენებთ, რომ მომავალი წლის 14-27 იანვარს მელბურნის კორტებზე კაცთა რეიტინგის პირველი ასეულის ყველა წევრი ითამაშებს, ქალთა ასეულს კი მხოლოდ ერთი მეჩოგნე დააკლდება. ეს უიღბლო დღეისთვის რეიტინგში 44-ე საფეხურზე მყოფი ვერა დუშევინაა, რომელიც ფეხის ტრავმის გამო ავსტრალიის ღია პირველობას ნებისმიერ შემთხვევაში გამოტოვებს.

„მგონი, ასეთი შემადგენლობა მართლა არასოდეს არ ყოფილა. დარწმუნებული ვარ, ერთ-ერთი საუკეთესო ტურნირი იქნება და მაყურებელიც დიდ სიამოვნებას მიიღებს“ — განაცხადა ავსტრალიის ღია პირველობის დირექტორმა კრეიგ ტილიმ.

ასე რომ, მელბურნში ყველა ბობოლა მოიყრის თავს. ქალთა შორის ხუთი ისეთი მეჩოგნე იქნება, აქ უკვე რომ უმარჯვიათ — დები უილიამსები (სერენა სულაც მოქმედი ჩემპიონია), ჟუსტინ ენინი, ამელი მორესმო და ჩოგბურთში მობრუნებული ლინდსი დევენპორტი.

კაცთა შორის კი მხოლოდ სამია ისეთი, მელბურნში რომ უხეირია — სამგზის გამარჯვებული როჯერ ფედერერი, მარატ საფინი და ტომას იოჰანსონი.

**ბაჩა ლომჯაშვილი**

# მონდომებული მაქსიმალისტი

## არვიდას მასიაუსკასი ევროპაში ბედნიერია

ევროლიგაში გას_ი თვის საუკეთესო მოთამაშე ოლიმპიაკოსელი არვიდას მასიაუსკასი გახდა. ლიტველი გამთამაშებელი თავის დროზე ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულად ითვლებოდა და მას ამერიკელებმაც დაადგეს თვალი, თუმცა მასიაუსკასს არ გაუმართლა — გასული სეზონი ნბა-ში სათადარიგოთა სკამზე გაატარა მუხლის ტრავმის გამო. ამ ზაფხულს არვიდასი ევროპაში დაბრუნდა, მუხლი მოირჩინა და ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“ ლიდერად მოევლინა. და აი, პირველმა აღიარებამაც არ დაახანა — როგორც ვთქვით, მასიაუსკასს ევროლიგაში ნოემბრის თვეში ბადალი არ ჰყოლია. ლიტველ გამთამაშებელს ევროლიგის საიტის ჟურნალისტებმა ინტერვიუ ჩამოართვეს, რომელიც ალბათ ქართველი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს...



— არვიდას, გილოცავთ ამ წარმატებას. ელოდით, რომ ასეთი მძიმე ტრავმის შემდეგ ძველ ფორმას დაიბრუნებდით?

— დიახ, ველოდი. უფრო სწორად, დარწმუნებული ვიყავი. გასულ წელს მიღებულმა უმძიმესმა ტრავმამ ჩემი ცხოვრება შეცვალა. ამ ზაფხულს უდიდესი შრომა გავწიე, რათა ფორმაში შევსულიყავი. ეროვნულ ნაკრებშიც არ წავედი, რომ მომავალი სეზონისთვის კარგად მოვმზადებულიყავი. ყველაფერი გავაკეთე, რათა „ოლიმპიაკოსს“ სრულ მზადყოფნაში დავბრუნებოდი და შრომაც დამიფასდა.

— სეზონი ახალი დაწყებულია, წინ დიდი გზაა გასავლელი და თუ ხარ მზად, რომ ბოლომდე შეინარჩუნო აღებული ტემპი?

— ვფიქრობ, რომ მზად ვარ, მაგრამ რა იქნება 4-5 თვის შემდეგ, ამაზე ლაპარაკი ახლა ძნელია. მე ფორმის შენარჩუნებას კი არ ვცდილობ, არამედ უფრო მომატებას ვაპირებ. მწვრთნელები არასდროს არ არიან მოთამაშეებით სრულად კმაყოფილნი. ისინი ყოველთვის ფიქრობენ, რომ ამა თუ იმ კალათბურთელს რაღაც აქვს დასახვეწი და ასე ვარ მეც. მე ყოველთვის მჯერა ჩემი თავის. როცა ტრავმა მქონდა, სახლში კი არ ვიჯექი ტელევიზორთან და კი არ ვამბობდი, ფეხი რომ მომირჩება, მე ისევ კარგი კალათბურთელი ვიქნები-მეთქი, არამედ ვვარჯიშობდი, იმ მომენტისთვის როგორც შემეძლო. ხოლო როცა სირბილი შევძელი, დარბაზიდან აღარ გამოვსულვარ. ვფიქრობ, მონდომება ყველაფერს შეაძლებინებს ადამიანს.

— **რას იტყვი ნბა-ში გატარებულ მტკივნეულ სეზონზე?**

— თავიდან, როცა მსოფლიოს ყველაზე ძლიერ ლიგაში მივდიოდი, ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგონა, მაგრამ ერთმა წამმა, იმ საშინელმა ტრავმამ სიხარული სიმწარით შემიცვალა. ჩათვალეთ, რომ მე ნბა-ში არ მითამაშია და ამას არც ვნანობ. ევროპულ კალათბურთს არანაკლები ემოცია და ხიბლი აქვს. აქ მეტი ურთიერთობა მაქვს ხალხთან, გულშემატკივრობაც გაცილებით მხურვალეა. ევროპაში ადამიანური, თბილი ურთიერთობები უფრო მეტია, ვიდრე ნბა-ში.

— **„ოლიმპიაკოსის“ ფანები ამბობენ, რომ თუ მასიაუსკასი ჯანზე იქნება, მას შეუძლია გუნდის ოთხთა ფინალში გაყვანაო. ამით ზედმეტ პასუხისმგებლობას ხომ არ გრძნობ?**

— არანაირად, რაჲგან მე ყოველთვის ვაკეთებ იმის მაქსიმუმს, რაც შემიძლია. კალათბურთი გუნდური სპორტია, სადაც ტრავმები ჩვეულებრივი ამბავია. დღეს ერთია დაშავებული, ხვალ შეიძლება სხვამ მიიღოს ტრავმა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ რაც მოთამაშეს შეუძლია, ბოლომდე გააკეთოს. მე ასე ვარ.

— **„ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელის, პინი გერშონის სათამაშო ტაქტიკას როგორ ეწყობი?**

— ჩემი აზრით, მე უფრო გუნდური მოთამაშე ვარ, ვიდრე ინდივიდუალისტი. არ ვცდილობ, ბევრი ქულა გავაკეთო და სულ მე მქონდეს ბურთი. თუ თავისუფალი ვარ, მაშინ ვესვრი. ისე კი ვცდილობ, ჩემს თანაგუნდელებს დავეხმარო და კარგი პოზიცია შევუქმნა. გერშონის გაწვრთნილ „მაკაბის“ ევროლიგა ორჯერ მოუგია და არ შეიძლება, მისი სათამაშო ტაქტიკა მცდარი იყოს.

— **ამას წინათ თქვი, რომ ძალიან გინდა 2008 წლის ოლიმპიადაზე თამაში. რამდენად რეალურია ეს შენთვის?**

— თუ ტრავმამ არ შემიშალა ხელი, ალბათ ლიტვის ნაკრების მიღმა არ დავრჩები, თუმცა ბოლო სიტყვა მწვრთნელისაა. ეროვნულ ნაკრებში თამაში, თანაც ასეთ სერიოზულ ტურნირზე, ყველას ოცნებაა და მეც არ ვარ გამონაკლისი. თუმცა ჯერ ოლიმპიადამდე მთელი სეზონია, ვნახოთ, რა იქნება.

# ცინცაძემ ბარონს ქულაც ვერ შებედა

**„ლიეტუვოს რიტასთან“** გაბრწყინების შემდეგ გიორგი ცინცაძემ ბალტიის ლიგის მომდევნო მატჩში თავი ვერაფრით გამოიჩინა. უფრო სწორად, მან მაყურებელს თავი დაამახსოვრა, როგორც ცუდმა მსროლელმა. ამ სეზონში და ალბათ მთელ მის „როკერულ“ კარიერაში პირველად მოხდა, რომ გიომ მოედანი უქულოდ დატოვა.

მისმა „როკმა“ მეზობელ ლატვიაში გვარიანი სირცხვილი ჭამა. ტარტუელები „ბარონსს“ ესტუმრნენ და აქამდე სულ რომ იოლად ამარცხებდნენ ამ გუნდს, ახლა 64:91 განადგურდნენ. ლატვიელებმა ოთხივე მეოთხედი გეგმაზომიერად მოუგეს „როკერებს“ და ესტონეთში თავდახრილები გაისტუმრეს.

ახლა თავად ცინცაძისთვის არასახარბიელო ამბავი ვთქვათ: გიორგიმ 6 ორქულიანი და 3 სამიანი ესროლა „ბარონსის“ კალათაში, თუმცა მიზანში ერთიც ვერ გარტყა და მის სტატისტიკაში ღირებული მხოლოდ 4 პასი, 2 მოხსნა და 1 ჩაჭრა დარჩა. ქართველმა უკანახაზელმა 25 წუთი გაატარა მოედანზე, თუმცა როგორც გამოჩნდა, თავისიანებს ითქმის ვერაფრით დაეხმარა.

არადა, წინა ტურში ცინცაძემ ბალტიისპირეთის ღღესდღეობით საუკეთესო და ევროლიგაში მოთბურთალე „ლიეტუვოს რიტასს“ 19 ქულა ჩაუგდო და რივით „ბარონსთან“ მის ხელმოცარვას ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა.

**ირაკლი პერტაია**

ესპანეთი. ისკარის საერთაშორისო ტურნირი 16 წლამდელებს შორის

# ჩაჭრეს და ჩაიჭრნენ

## კადეტებს პირველი გამოცდა ჩაუვარდათ

**საქართველო 62:77 სლოვენია**

*12:23 15:22 10:15 24:17*

**საქართველო:** ტეტელაშვილი, კაკაურიძე (11), ბოქოლიშვილი (18), მაღრაძე (3), ჯავახიშვილი; გურაბანიძე (4), ელიაძე (5), თენიეშვილი (15), ალხანაიძე (3), მირიანაშვილი, შაკარბიძე (2)

**ისკარის** საერთაშორისო ტურნირზე თამაში ჩვენმა კადეტებმა მარცხით დაიწყეს. გელა წულაძის შეგირდებს სადეიტო მეტოქედ საკმაოდ ძლიერი სლოვენიის ნაკრები ჰყავდათ და ჩვენებმა ჩვენმა 16-წლამდელებმა საბოლოოდ 15 ქულით დათმეს თამაში, თუმც იმდენი სროლა გააცუდეს, მადლობა უნდა თქვან, უფრო დიდი სხვაობით რომ არ დამარცხდნენ.

თავად განსაჯეთ, ქართველებმა 46 საშუალო სროლიდან მხოლოდ 16 მოათავსეს სლოვენიელთა კალათში, ხოლო შორი მანძილიდან 21-დან მხოლოდ ხუთჯერ მიუწიეს მიზანს. თუმცა ყველაზე კატასტროფული მაჩვენებელი წულაძის შეგირდებს საჯარიმოს ხაზიდან ჰქონდათ — 40 ცდიდან მხოლოდ 17-ჯერ იხეირეს.

თამაშის დაწყებასთან ერთად ქართველების ძირითადმა ცენტრმა გოგა ჯავახიშვილმა და გამთამაშებელმა გიორგი ტეტელაშვილმა პერსონალურების აკრეფას მიჰყვეს ხელი და საბოლოოდ ორივეს ნაადრევად მოუწია მოედნის დატოვება. მათ ჯამში, ოდენ 21 წუთი დაჰყვეს მოედანზე და ჩვენი კადეტები ფარქვეშ უიმედონი შეიქნენ. საბოლოოდ სლოვენიელებმა 60-ჯერ მოგვიხსნეს ბურთი, როცა ჩვენებმა ეს მხოლოდ 25-ჯერ მოახერხეს. ერთადერთი, რაშიც ჩვენებმა ბალკანელები დაჩაგრეს, ჩაჭრებია. საბოლოოდ წულაძის შეგირდებმა მეტოქეზე 15-ით მეტი ჩაჭრა გაახერხეს და მათზე 12-ჯერ ნაკლები ბურთი დაკარგეს.

*გელა წულაძე:* „ჩვენი წაგება ძირითადად ფარის წაგებამ განაპირობა, თანაც ძალიან ბევრი ბურთი ავაცილეთ როგორც თამაშიდან, ისე საჯარიმოს ხაზიდან. ეს პირველი სერიოზული გამოცდა იყო ამ ბიჭებისთვის და მჯერა, რომ მომავალ მატჩს უკეთესად ჩაატარებენ“.

დღეს ქართველი კადეტები მასპინძელ ესპანელებს გაეჯიბრებიან. მატჩი ჩვენი დროით შუაღამისას, 12 საათზე დაიწყება.

**ირაკლი პერტაია**

ძიუდო

# გარანტია არის, დანარჩენს ევროშეფი იტყვის

**„თბილისის** მსოფლიოს თასზე ჩამოსულ სტუმრებს უსაფრთხოების სრული გარანტია ექნებათ. სახელმწიფო გახდება იმის გარანტი, რომ უცხოელ ძიუდოისტებს არანაირი პრობლემა არ შეექნებათ. ქვეყანა მზადაა, საერთაშორისო ტურნირს უმაღლეს დონეზე უმასპინძლოს“ — გვითხრა გუშინ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გია გაღლდავამ.

26-27 იანვარს სპორტის სასახლეში ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი უნდა გაიმართოს, რომელიც ახალ ევროსეზონსაც გახსნის და პეკინის ოლიმპიადისთვის 2007 წლის პირველ სალიცენზიო ქულებსაც დაარიგებს. თუმცა ერთი კვირის წინ ევროპის ძიუდოს კავშირმა გადაწყვიტა, თბილისისთვის მსოფლიოს თასის მასპინძლობის უფლება ჩამოერთვა. პირველად ეს გასულ პარასკევს ვარშავაში ჩატარებულ კონგრესზე ითქვა.

„კონკრეტული ინიციატორი არავინ ყოფილა, ძიუდოს შეფებმა მიზეზად ევროფედერაციაში მიღებული რამდენიმე წერილი დაასახელეს. აქაოდა, ზოგიერთ ქვეყანას საქართველოში ჩამოსვლა აფიქრებსო“ — განაცხადა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა გუშინ ჩვენთან ინტერვიუში. იგი პოლონურ კონგრესს თავად დაესწრო და თბილისის ტურნირის დასაცავად სიტყვითაც გამოვიდა. ხაბარელი ძიუდოს კავშირს სახელმწიფო გარანტიას დაჰპირდა და კავშირის თავკაცები უსაფრთხოებაში დასარწმუნებლად თბილისში დაპატიჟა.

გუშინვე შევიტყვეთ, რომ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ევროპის ძიუდოს კავშირში ოფიციალური წერილი უკვე გაგზავნა, რომელშიც სახელმწიფო გარანტიას იძლევა, რომ ტურნირი უსაფრთხოდ და მაღალ დონეზე ჩატარდება. საქართველოს ძიუდოს ფედერაცია კი ევროძიუდოს პრეზიდენტის სახელზე ოფიციალურ მოწვევას ამზადებს. გენადი სოლოვეიჩიკი თბილისს, სავარაუდოდ, ნაახალწლევს ესტუმრება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

5 დეკემბერი

**სან ანტონიო 97:95 დალასი**
სან ანტონიო: ჯინობილი (37), პარკერი (23), ფინლი (14)
დალასი: ჰოვარდი (22), ტერი (20), ბარი (18), ნოვიცკი )15)

**დენვერი 107:111 ლეიკერსი**
დენვერი: აივერსონი (51), ენტონი (26), კემბი (0 ქულა, 20 მოხსნა)
ლეიკერსი: ბრაიანტი (25), რადმანოვიჩი (21), ფიშერი (20) ოდომი (17)

**ვაშინგტონი 105:86 კლივლენდი**
ვაშინგტონი: ბატლერი (27), ჰეივუდი (17 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება)
კლივლენდი: გუდენი (13), გიბსონი (13), ბრაუნი (13)

**ჰიუსტონი 105:92 მემფისი**
ჰიუსტონი: მინი (24 ქულა, 13 მოხსნა, 4 დაფარება), ველსი (24) მაკგრეიდი (17 ქულა, 12 პასი, 10 მოხსნა), სკოლა (16)
მემფისი: გასოლი (23 ქულა, 12 მოხსნა), სტუდემაიერი (19), გაი (17 ქულა, 10 მოხსნა)

**ტორონტო 123:136 ფინიქსი**
ტორონტო: ფორდი (27), პარკერი (22), დელფინო (14), კალდერონი (14)
ფინიქსი: ბარბოსა (35), სტუდემაიერი (25), ჰილი (17), ბელი (16), დიაუ (14), ნეში (10 ქულა, 18 პასი), მერიონი (10 ქულა, 14 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 76:91 დეტროიტი**
ნიუ ორლეანი: სტოიაკოვიჩი (19), ჩანდლერი (17 ქულა, 22 მოხსნა), პოლი (14)
დეტროიტი: ჰამილტონი (21), ბილაფსი (18), ვოლესი (13 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 93:100 ნიუ იორკი**
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (31), კარტერი (19) ნახბარი (16)
ნიუ იორკი: კროუფორდი (29), რენდოლფი (25), ჯონსი (15)

**შარლოტი 82:91 ჩიკაგო**
შარლოტი: ვოლესი (22), რიჩარდსონი (17), ფელტონი (17)
ჩიკაგო: დენგი (30), ნოჩიონი (15 ქულა, 11 მოხსნა), გორდონი (13)

**ფილადელფია 103:113 ბოსტონი**
ფილადელფია: მილერი (26 ქულა, 12 პასი), იგუდალა (24), უილიამსი (18)
ბოსტონი: გარნეტი (22), პირსი (19 ქულა, 12 პასი), პოუზი (17), პაუსი (15), ალენი (12)

**გოლდენ სტეიტი 120:90 მილუოკი**
გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (20), დევისი (20), აზუბეიკე (16), ჰარინგტონი (15)
მილუოკი: რედი (24), საიმონსი (13)

**სიეტლი 95:88 კლიპერსი**
სიეტლი: კოლისონი (18 ქულა, 17 მოხსნა), დურანტი (18), შერბაკი (17), უილკინსი (17)
კლიპერსი: მაგეტი (23), კამანი (19 ქულა, 14 მოხსნა)

# ულებრონო კავალერიას კეტები ურახუნეს



**რაღაც** დიდხანს გაუგრძელდა თითის ტრავმის წამლობა „კლივლენდის" ყოჩ ლებრონ ჯეიმსს. 2007 წლის ფინალისტები მეხუთე თამაშია, მის გარეშე წვალობენ და ამ ნავისან პერიოდში გამარჯვების გემო დაივიწყეს, ყველასთან აგებენ. სამშაბათს „ნიუ ჯერსიმ" მისივე გულშემატკივრების თვალწინ 100:79 მოგებით აუწითლა ლოყა. მოკლედ, გუნდი, რომელიც ღრუბლებში უნდა დალივლივებდეს, მოგება-წაგებათა 9-11 ბალანსით ზურგდამძიმებული დივიზიონში მეოთხე, კონფერენციაში კი მეცხრე ადგილამდე დაძირულა.

ოთხშაბათს უკვე „ვაშინგტონის" ჯერმა მოატანა. ახლა დედაქალაქელებმა სტკიცეს მორიგი სილა უმხედართმთავრო „კავალერიას", რომლის ძველი ბოლმა ჰკლავდათ — 2006 და 2007 წლების პლეი ოფებში მათთან დამარცხდნენ. განსაკუთრებით მტკივნეული ბოლო პლეი ოფი იყო: ორი ლიდერის — ჯილბერტ არენასისა და კერონ ბატლერის გარეშე „ვაშინგტონმა" პირველივე წრეში უშანსოდ (0:4) წააგო „კლივლენდთან" და ისე შერცხვა, რომ კარგა ხანს ვერ დაივიწყებს.

„ვაშინგტონს" არც ახლა ჰყავს არენასი, სულ ცოტა სამი თვით დაკარგა პირველმექულე, მაგრამ „კლივლენდსაც ხომ აკლდა ლიდერი და მასპინძლებმაც ხელიდან არ გაუშვეს ბოღმის ამოთხევის შანსი. მეტ-ნაკლებად თანაბარი პირველი მეოთხედის შემდეგ მეორეში ცალფარა თამაში გახურდა და რამდენიმეწუთიანი მონაკვეთის 21:4 მოგების შემდეგ „ვაშინგტონი" 41:25 დაწინაურდა. მესამე მეოთხედის პირველ წუთებში სხვაობამ 28 ქულას უწია და ამან ლამის გადარია „კლივლენდის" ისედაც ნერვებდაწყვეტილი მწვრთნელი მაიკ ჯეიმსი. „ნიუ ჯერსისთან" შერცხვენის შემდეგ მან პირდაპირ დაცოფა მოთამაშეები და სულაც არ სურდა, მისი ლაპარაკი არა და, ყვირილი ერთ ყურში შეუშვათ და მეორიდან გაეშვათ ლებრონის გარეშე ცხვრების ფარასავით დაბნეულ შეგირდებს. მწვრთნელის „საყვირმა" „კავალერია" ცოტა გამოაფხიზლა. იქვე სკამზე მჯდომმა, უფრო ზუსტად მცქმუტავმა 1500-დოლარიან შარვალ-კოსტუმში გამოწყობილმა ჯეიმსმაც შეუძახა თავისიანებს და ამათაც იმდენი მოახერხეს, რომ ბოლო მეოთხედში 9 ქულამდე შეამცირეს სხვაობა, მაგრამ თავს ზევით ძალა აღარ ეყოთ და 19 ქულით წააგეს.

ყველა ვაშინგტონელმა, ვისაც ნამატჩევს კომენტარი სთხოვეს, ახსენა ლებრონ ჯეიმსი და შურისძიება მისი გუნდის მიმართ:

კერონ ბატლერი — „პლეი ოფში მე და ჯილბერტიც ასე შორიდან ვუყურებდით, როგორ წეწავდა ეგ ბიჭი (ლებრონ ჯეიმსი) ჩვენიანებს. მშვენიერი გრძნობის მომგვრელია იმ გუნდის დამარცხება, რომელმაც 0:4 მოგიგო".

ედი ჯორდანი, „ვაშინგტონის" თავკაცი — „იცით რას გავდა ჩვენი და მაგ გუნდის თამაში? ქუჩურ ჩხუბს, რომელშიც ერთი მხარე შიშველი ხელებითაა, მეორე კი ბეისბოლის კეტებით შეიარაღებული ურახუნებს მათ თავში. ახლა ჩვენ აღმოვჩნდით უკეთ შეიარაღებულნი". მოგვიანებით ჯორდანმა ცოტა შეარბილა ეს მყიფე ნათქვამი — „ლებრონი არ ჰყავდათ და ამან გაგვიადვილა სამაგიეროს გადახდა".

ანთაუნ ჯემისონი — „ორი წელია, მაგ ბიჭს პლეი ოფში ვუყურებ და სიმართლე გითხრათ, ახლა რომ არ იყო, მონატრება არც მიგრძვნია. მე და ლებრონი კი ვმეგობრობთ და მას სწრაფად გამოჯანმრთელებას ვუსურვებ, მაგრამ მიხარია, რომ ის ჩვენთან თამაშში არ დაუბრუნდა მოედანს".

კიდევ ერთი ტრავმიანი კაცი ვახსენოთ: ოლონდ სანანტონიოელმა მანუ ჯინობლიმ, რომელიც ასევე თითის ტკივილს შეუწუხებია, ლებრონისგან განსხვავებით, თამაში შეძლო. შეძლო კი არა, მოედანზე ცეცხლი დაანთო. მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა არგენტინელი მსროლელი მიმდინარე სეზონში პირველად გაამწესა დამწყებ ხუთეულში. ალბათ იმიტომ, რომ ტიმ დანკანი დამტვრეულია და ლიდერთა ტრიოს მესამე წევრ ტონი პარკერს მოწყენილობა რომ არ ეგრძნო. მანუმაც საწაულები აკეთა, სეზონში უმეტესი, 37 ქულა მოირეწა, რამდენჯერმე გადაატენა თავზე ბურთი 210 სანტიმეტრს აცილებულ ორ დალასელს — დირკ ნოვიცკისა და დესაგანა დიოპს. მისმა „სან ანტონიომაც" მოიგო ტეხასური ომის ეს ბრძოლა.

ჯინობილიზე მეტი გააკეთა დენვერელმა ალენ აივერსონმა. 183-სანტიმეტრიანმა ჭინკა ალენმა 51 ქულა მობოჭა და ამ სეზონის პირადიც და საყოველთაო რეკორდი ჩაიჯიბა, მაგრამ რად გინდა, თავის გუნდს მარცხი ვერ აარიდა. მეტიც, მისი ბრალიც დევს ამ წაგებაში, სამ მეოთხედში აივერსონმა 49 ქულა გააკეთა და მაშინ, როცა ყველა იმის მოლოდინში იყო, რომ იგი თავის კარიერის რეკორდს, 60 ქულას გააუმჯობესებდა, ჭინკამ ბოლო მეოთხედში მხოლოდ ერთი ბურთი ჩააგდო და ბოლოსკენ დაქოქილ კობი ბრაიანტს ბევრი ვერაფრით გაეპასუხა.

**კოტე ყორშია**



# ლიგის პრემიერა



რონი ოსალივანი

**ხვალიდან** ტელფორდში 2007-08 წლების სეზონის რიგით მოთხე სარეიტინგო ტურნირი, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ღია ჩემპიონატი გახურდება, რომელიც სნუკერის სამყაროში თავისი პრესტიჟულობით მეორეა და მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატს ჩამორჩება.

ტიტულისთვის 32 უძლიერესი სნუკერისტი იბრძოლებს, რომელთაგან თექვსმეტს ტელფორდში თამაშის პატივი რეიტინგით ერგო, ხოლო მეორე თექვსმეტეული საკვალიფიკაციო ბრძოლების შემდეგ გამოვლინდა.

დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატის დაწყებამდე კი ელიტარულ სნუკერისტთა არასარეიტინგო სერიული ტურნირი, პრემიერლიგა დასრულდა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ლიგას ახალი პრემიერი ჰყავს სნუკერის ინგლისელი ჯადოქარის რონი ოსალივანის სახით.

აქამდე პრემიერლიგა ყველაზე მეტჯერ — ექვს-ექვსჯერ მოიგეთ ოსალივანსა და თანამედროვეობის ყველაზე ტიტულიან მოთამაშეს, შოტლანდიელ სტივენ ჰენდრის. ამჯერად ისინი ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და რონიმ სტივს 5:1 მოუგო. მეორე ნახევარფინალში მსოფლიოს ამჟამინდელმა ჩემპიონმა, შოტლანდიელმა ჯონ ჰიგინსმა 5:3 დაამარცხა ჩინელი დინ ჯუნხუ.

აქვე გეტყვით, რომ პრემიერლიგის მატჩები დროის ლიმიტით ტარდება, ანუ მოთამაშეებს თითოეულ დარტყმაზე გარკვეული შეზღუდული დრო აქვთ და ასეთ, ერთგვარ „ბლიც-სნუკერში" ოსალივანს ბადალი რომ არ ჰყავს, ეს ფინალშიც კარგად გამოჩნდა. ექვსი ფრეიმის შემდეგ ანგარიში 3:3 იყო, მერე კი რონიმ მხოლოდ მისთვის ჩვეული, მაქსიმალური სიჩქარეები ჩართო, მსოფლიოს ჩემპიონი 7:4 დაამარცხა და სარეკორდო, მე-7 პრემიერლიგა მოიგო. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ 2005 წლიდან პრემიერლიგა წელიწადში ორჯერ ტარდება და მას შემდეგ ოსალივანს ამ შეჯიბრში ბადალი არ ჰყავს.

თუმცა, პრემიერლიგა უკვე წარსულია და ახლა მთელი ყურადღება ტელფორდისკენაა გადატანილი. იქ პირველ ნომრად შარშანდელი ტრიუმფატორი პიტერ ებდონია განთესილი, ვისაც საწყის ეტაპზე მეტოქედ მეორე ინგლისელი აიან მაკალოჰი ერგო. ჰიგინსის პირველი მეტოქე ასევე ინგლისელი ჯეიმი კოუპია, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონის დარად, სატურნირო ბადის ქვედა ნახევარში მოხვედრილი ოსალივანი ბრიტანეთის ჩემპიონატს კიდევ ერთ ინგლისელთან, მაიკლ ჰოლტთან, მატჩით დაიწყებს.



# რეგულარული ჩემპიონატი

5 დეკემბერი

**რეინჯერსი 3:1 ტამპა**
*1:0 0:1 2:0*

**კოლუმბუსი 5:4 კოლორადო**
*1:0 0:3 4:1*
1:0 ნეში (7), 1:1 ვოლსკი (23), 1:2 შჩასტნი (38), 1:3 ფინგერი (39), 2:3 ნეში (48), 3:3 ლინდსტრომი (50), 4:3 ფედოროვი (55), 4:4 ჰენენი (56), 5:4 ფრიტშე (56)

**ატლანტა 4:3 აილენდერსი**
*0:1 3:1 0:1 0:0 (1:0 ბულიტებით)*
0:1 კომრი (11), 1:1 ჰოსა (28), 2:1 კოვალჩუკი (32), 3:1 დიუპუი (36), 3:2 სელინჯერი (40), 3:3 ჰანტერი (48)

**ნიუ ჯერსი 4:3 ბოსტონი**
*0:3 2:0 1:0 1:0 (ოვერტაიმში)*
0:1 ჩარა (7), 0:2 მიურეი (12), 0:3 ვაიდმენი (17), 1:3 ელიაში (27), 2:3 პარიზე (36), 3:3 პარიზე (55), 4:3 ელიაში (64)

**ფლორიდა 4:5 ოტავა**
*2:2 0:1 2:2*
0:1 რობიტაილი (7), 0:2 ფიშერი (8), 1:2 ოლკინენი (11), 2:2 მონტადორი (17), 2:3 ფოლინო (28), 2:4 სპეცა (48), 3:4 ბუტი (51), 3:5 რობიტაილი (55), 4:5 ოუკინენი (60)

**მინესოტა 1:3 ფილადელფია**
*0:2 1:0 0:1*
0:1 აპშოლი (5), 0:2 კარტერი (10), 1:2 დემიტრა (21), 1:3 კობერნი (45)

**დალასი 2:3 სან ხოსე**
*0:1 1:1 1:1*
0:1 ჩიჩუ (19), 1:1 დეილი (24), 1:2 მარლო (27), 2:2 მოდანო (47), 2:3 ტორნტონი (52)

**ჩიკაგო 2:3 ვანკუვერი**
*1:2 1:0 0:1*
0:1 ოლუნდი (8), 1:1 ლაპოინტი (15), 1:2 რიჩი (20), 2:2 ჰავლატი (30), 2:3 მორისონი (44)

**ფინიქსი 4:1 ლოს ანჯელესი**
*2:1 1:0 1:0*
1:0 რაინპრეხტი (12), 2:0 ვრბატა (15), 2:1 კამალერი (18), 3:1 მიულერი (32), 4:1 დოუნი (60)

**ედმონტონი 2:4 პიტსბურგი**
*1:0 1:0 0:4*
1:0 ნილსონი (6), 2:0 ჰორკოფი (38), 2:1 ტელბოტი (47), 2:2 ლეტანგი (47), 2:3 არმსტრონგი (51), 2:4 უიტნი (54)

**ანაჰაიმი 4:1 ბუფალო**
*1:1 2:0 1:0*
0:1 ხეხტი (5), 1:1 მაკდონალდი (16), 2:1 შნაიდერი (33), 3:1 ბერტუცი (39), 4:1 პერი (52)



**საქართველოს** პირველი თანამედროვე სპორტული დარბაზი შეემატა. ოზურგეთში ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა სპორტის სასახლე გახსნა, რომლის მსგავსი აქამდე დასავლეთ საქართველოში მხოლოდ ქუთაისში აშენდა ორი თვის წინ.

ოზურგეთის სპორტის სასახლე 500 კაცს იტევს. ევროსტანდარტებით აშენებულ დარბაზში კალათბურთის, ხელბურთის, ფრენბურთისა და მინი-ფეხბურთის სტანდარტული მოედანია. ამასთან, ორი საჭიდაო ხალიჩა თავისუფლად ეტევა და სათამაშო სახეობების გარდა, იქ საჭიდაო ტურნირების მოწყობაც შეიძლება.

ჩვენ კი კარგის მეტი რა გვეთქმის, თბილისში, ქუთაისსა და ოზურგეთში უკვე გვაქვს ევროდარბაზები, ჯერი სენაკსა და ზუგდიდზეა, სადაც უკვე დაწყებულია და მალე დასრულდება სპორტის სასახლეების მშენებლობა.

***ბადრი კეთილაძის***
**ფოტორეპორტაჟი**

# ევროგეთი








სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასაკაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გიორგი ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ მიგრიაული, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
სარეკლამო სამსახური: შალვა ციხელაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბეხულია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ქრისთავი, ზვიად მისაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge